საქ. სსრ. სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

25 დეკემბერი ოთხშაბათი 1974

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 300 (16121)

## მისაბაძი თანამედროვენი



ქუთაისის ვ. ი. ლენინის სახელობის მაუდის ფაბრიკის ვეტერანი მუშა, მქსოველი თინა ჩხენკელი.

სსრ კავშირის სახალხო მხატვარ უჩა ჯაფარიძის ნახატი.

(წერილი თ. ჩხენკელის შესახებ იხილეთ მესამე გვერდზე).

ახალ წლამდე ერთი კვირაღა დარჩა

ყოველი დღე — მხოლოდ დამკვრელური!

# როგორ ვასრულებთ გეგმებს, ვალდებულებებს?

## გადიდებული შეხვედრი გეგმები

### ჩარხმშენებელთა სიტყვა

თბილისი. დამკვრელური შრომის დღეებია ს. კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანაში.

წინასაახალწლო ვახტზე რომ დგანან, ჩარხმშენებლები ფიქრობენ მომავალი წლისათვის. ამის დადასტურებაა ქარხანაში ახლახან მიღებული გაზრდილი შემხვედრი გეგმა 1975 წლისათვის, რომელიც 100 ათასი მანეთის პროდუქციის გამოშვებას და მის რეალიზაციას ითვალისწინებს.

### ელმავალმშენებლებმა გადაწყვიტეს

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის კოლექტივმა წლევანდელი თერთმეტი თვის მუშაობის შედეგები რომ შეაჯამა, აწონ-დაწონა თავისი შესაძლებლობები და მიიღო 1975 წლის შემხვედრი გეგმა, რომელიც ითვალისწინებს 300 ათასი მანეთის პროდუქციის გამოშვებას და მის რეალიზაციას.

### იქნება მეტი სხმული

შვიდას თორმეტი ათასი მანეთის პროდუქციის რეალიზაცია მოახდინა წლეულს თერთმეტ თვეში გეგმის გადამეტებით თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის კოლექტივმა. აქ დამკვრელურად შრომობენ დეკემბერში. აქედანვე ცდილობენ მტკიცე საფუძველი შეუქმნან მომავალი გაზრდილი შემხვედრი გეგმის შესრულებას. დავალების გადამეტებით გამოშვებულ და რეალიზებულ იქნება 120 ათასი მანეთის პროდუქცია, 150 ტონა თუჯის სხმული, 250 ტონა დანარჩენი სხმულები.

### მკერავების დაპირება

ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივმა პროდუქციის რეალიზაციის წლიური გეგმა ოთხი დეკემბრისათვის შეასრულა.

მკერავებმა იანგარიშეს თავიანთი შესაძლებლობანი და მიიღეს 1975 წლის შემხვედრი გეგმა, სადაც ჩაწერეს დავალების გადამეტებით გამოუშვან 300 ათასი მანეთის ნაწარმი და მოახდინონ მისი რეალიზაცია.

● ქუთაისი. (საქ. კორ.). ქალაქის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა პროდუქციის რეალიზაციის წლიური გეგმა 19 დეკემბრისათვის შეასრულეს. აქ ერთსულოვნად გადაწყვიტეს წლის ბოლომდე რამდენიმე მილიონი მანეთის პროდუქცია გამოუშვან.

ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა პირნათლად შესრულების საქმეში განსაკუთრებით დაწინაურდნენ ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო, მცირეგაბარიტიანი ტრაქტორებისა და ლითოფონის ქარხნების, აბრეშუმისა და კიროვის სახელობის სამკერვალო გაერთიანებების, „ქუთბარიტის" მაღაროთა სამმართველოს, წისქვილის, რძისა და სახლთსამშენებლო კომბინატების კოლექტივები.

● რუსთავი. მეტალურგიული ქარხნის კოლექტივმა ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელ წელს თავი დააღწია ხანგრძლივ ჩამორჩენას, გეგმას ასრულებს სრული მეტალურგიული ციკლით. მეტალურგებმა წლეულს განვლილ სამ კვარტალში გაწეული მუშაობის შედეგების მიხედვით გაიმარჯვეს საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს და პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი დროშა და პირველი ფულადი პრემია მოიპოვეს.

მეტალურგებმა მეოთხე კვარტალში ახალი წარმატება მოიპოვეს. საერთო პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის წლიური გეგმის შესრულება სამშობლოს 20 დეკემბრისათვის უპატაკეს, 25 რიცხვისათვის კი გეგმა სრული მეტალურგიული ციკლით შეასრულეს. ძირითადი საამქროები — საგლომერაციო, საბრძმედე, მარტენის, საგლინავი და მილსაგლინავი საამქროები უკვე მომავალი წლის ანგარიშში მუშაობენ.

ქარხნის კოლექტივმა ერთსულოვნად გადაწყვიტა წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გამოუშვას 6 მილიონი მანეთის საერთო პროდუქცია და მოახდინონ მისი რეალიზაცია.

ეს რედაქციას აცნობა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა კ. ბაქრაძემ.

● ზუგდიდი. ქალაქის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის წლიური გეგმა 20 დეკემბრისათვის შეასრულეს. წლის ბოლომდე დამატებით გამოშვებული იქნება 2 მილიონი მანეთის პროდუქცია.

ეს რედაქციას აცნობა პარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. კვარაცხელიამ.

● თელავი. (საქ. კორ.). ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის (დირექტორი ვ. კალავიშვილი) საწარმოებმა ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელი წლის პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის წლიური გეგმები 25 დღით ადრე შეასრულეს. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 131 ათასი ცალი აგური, 490 კუბმეტრი სამშენებლო ბლოკი, 132 ტონა კირი და სხვა ნაწარმი. 1975 წლის ანგარიშში პროდუქციის გამოშვება წარმატებით გრძელდება.

## დეკემბრის ნობათები

ხუთწლედი-ვადამდე! 1975-შეხვედრი

## გაზაფხულს — გამართული ტექნიკა!

სიღნაღელ მექანიზატორებში დიდი აქტივობა გამოიწვია თელაველ მექანიზატორთა მიმართვამ რესპუბლიკის ყველა მექანიზატორისადმი. ამ პატრიოტული თაოსნობის პასუხად ჩატარდა სიღნაღის რაიონის მოწინავე მექანიზატორთა შეკრება, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის სიღნაღის რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. ქარუმიძემ. ტექნიკის საგაზაფხულო სამუშაოებისათვის მომზადებისა და რაიონის მექანიზატორთა ამოცანების შესახებ მოხსენებით გამოვიდა „საქსოფლტექნიკის" სიღნაღის გაერთიანების მმართველი ბ. ტარყაშვილი. შეკრებაზე სიტყვით გამოვიდა „საქსოფლტექნიკის" გაერთიანების მმართველი დ. სარიშვილი.

თათბირის მონაწილეებმა აიღეს ახალი გადიდებული ვალდებულებები და მოწოდებებით მიმართეს რაიონის ყველა მექანიზატორს ფართოდ გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება და გაზაფხულისათვის მზადყოფნაში იქონიონ სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები.

სიღნაღელმა მექანიზატორებმა ვალდებულებებში ჩაწერეს, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 54-ე წლისთავის აღსანიშნავად 1975 წლის 25 თებერვლისათვის შეაკეთებენ 138 ტრაქტორს, 87 გუთანს, 87 სათესს, 36 კულტივატორს, 49 სათიბს და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანებს, ხოლო მარცვლეულის კომბაინების რემონტს დაამთავრებენ 20 აპრილისათვის. ტექნიკის გამოყენების კოეფიციენტს გაზრდიან ოთხი პროცენტით, რემონტის ხარჯებს შეამცირებენ ხუთი პროცენტით, საწვავის ხარჯებს — 5 პროცენტით, 10 პროცენტით გააიაფებენ ჰექტარი მიწის დამუშავებას. განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ კადრების სწავლებას. გაზაფხულის დადგომამდე მოამზადებენ 100 ტრაქტორისტს და 20 კომბაინერს.

სიღნაღელმა მექანიზატორებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს საგარეჯოს რაიონის მექანიზატორები.

**ვ. დავითაშვილი,**
სიღნაღის რაიონული გაზეთის „კოლმეურნეს" რედაქტორი.

## სსრ კავშირში საპასპორტო სისტემის შემდგომი სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განიხილეს სსრ კავშირში საპასპორტო სისტემის შემდგომი სრულყოფის ღონისძიებათა საკითხი. მიღებულ გადაწყვეტილებებში ხაზგასმულია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საპასპორტო სისტემას, რომელიც ხელს უნდა უწყობდეს მოქალაქეთა მიერ თავიანთი უფლებების განხორციელებას, სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე თავიანთ მოვალეობათა შესრულებას, უზრუნველყოფდეს მოქალაქეთა გადაადგილების აღრიცხვას, ემსახურებოდეს სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების საქმეს.

ყველგან იქნება შემოღებული ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ყველა კატეგორიისათვის ერთიანი პასპორტიზაციის წესი, გათვალისწინებულია პასპორტის მიცემა სსრ კავშირის ყველა მოქალაქისათვის, რომლებმაც მიაღწიეს 16 წლის ასაკს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა ახალი ნიმუშის პასპორტი, რომელსაც დაერქმევა „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მოქალაქის პასპორტი". პასპორტი ძირითადი დოკუმენტია, რომელიც ადასტურებს მოქალაქის პიროვნებას და მის საბჭოთა მოქალაქეობას. პასპორტი მზადდება მთელი სსრ კავშირისათვის ერთიანი ნიმუშის მიხედვით რუსულ ენაზე და შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკის ენაზე, ავტონომიური რესპუბლიკებისათვის კი აგრეთვე შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის ენაზე. ახალი ნიმუშის პასპორტში შემცირებულია მოქალაქის შესახებ შეტანილ ცნობათა რაოდენობა. მოსახლეობისათვის საქმის გაადვილების მიზნით პასპორტი უვადოა, განახლდება მხოლოდ ფოტოსურათები, როცა მოქალაქენი მიაღწევენ 25 და 45 წლის ასაკს.

მოქალაქეებისათვის ახალი პასპორტების მიცემა და ძველი ნიმუშის პასპორტების ახლით შეცვლა გათვალისწინებულია 1976-1981 წლებში. გამოცვლამდე ძალაში რჩება ადრე გაცემული პასპორტები. ამასთან პასპორტები, რომლებსაც მოქმედების ვადა 1975 წლის 1 ივლისის შემდეგ გაუდით, ძალაში რჩება მოქმედების ვადის ოფიციალური გაგრძელების გარეშე ახალი ნიმუშის პასპორტით შეცვლამდე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა სსრ კავშირში საპასპორტო სისტემის დებულება, რომლითაც რეგლამენტირებულია პასპორტების გაცემისა და პასპორტებით სარგებლობის წესი, აგრეთვე მოქალაქეთა ჩაწერისა და ამოწერის წესები. ამასთან გათვალისწინებულია შემცირდეს იმ დოკუმენტების რაოდენობა, რომლებიც საჭიროა პასპორტების გაცემა-გამოცვლისათვის, გაუქმდეს ჩაწერა, როცა მოქალაქენი ხანმოკლე დროით მიდიან მივლინებასა თუ შვებულებაში, აგრეთვე სანატორიუმებში, დასასვენებელ სახლებში.

სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა სსრ კავშირის დაინტერესებული სამინისტროების, უწყებებისა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მონაწილეობით შეიმუშაოს და დაამტკიცოს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ მუშაობას დადგენილ ვადაში ახალი ნიმუშის პასპორტების გაცემისათვის. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს წინადადება მიეცათ დაეხმარონ შინაგან საქმეთა ორგანოებს ახალი ნიმუშის პასპორტების გაცემასთან დაკავშირებული მუშაობის ორგანიზაციასა და მოწყობაში, უზრუნველყონ საპასპორტო სამსახურის მუშაკთა მიერ მოსახლეობის უკეთ მომსახურების საჭირო პირობების შექმნა. პასპორტის გადაცემა მოქალაქეებისათვის, რომლებიც პირველად იღებენ მას, როგორც წესი, უნდა მოეწყოს საზეიმო ვითარებაში.

სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებანი, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები ვალდებული არიან დამატებითი ღონისძიებანი განახორციელონ იმ ჯერ კიდევ არსებული შემთხვევების აღმოსაფხვრელად, როცა მოქალაქეებს სთხოვენ სხვადასხვაგვარ ცნობებს, მაშინ, როდესაც საჭირო მონაცემები შეიძლება დადასტურდეს პასპორტისა თუ სხვა დოკუმენტების წარდგენით.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო, საოლქო კომიტეტებს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომებს, საკავშირო პროფსაბჭოს, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტს დაევალათ უზრუნველყონ საჭირო ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა საპასპორტო სისტემის სრულყოფის ღონისძიებებთან დაკავშირებით. პასპორტების გაცემამ და გამოცვლამ ხელი უნდა შეუწყოს იმას, რომ საბჭოთა ადამიანებს, განსაკუთრებით ახალგაზრდობას, ჩავუნერგოთ საბჭოთა პატრიოტიზმის გრძნობა, სიამაყე თავისი სოციალისტური სამშობლოსათვის, მაღალი შეგნებულობა, მოქალაქეობრივი მოვალეობა და პირადი პასუხისმგებლობა მისი შესრულებისათვის.

## ჟურნალ „მნათობის" რედაქციას

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გულითადად მიესალმებიან და ულოცავენ ჟურნალ „მნათობის" რედაქციას, მის თანამშრომლებს, ავტორთა კოლექტივსა და მკითხველებს ჟურნალის პირველი ნომრის გამოსვლის 50 წლისთავს და მთავრობის მაღალი ჯილდოთი — „საპატიო ნიშნის" ორდენით დაჯილდოებას.

ჟურნალ „მნათობის" იუბილე მთელი ქართული საბჭოთა კულტურის, ქართველ მწერალთა, რესპუბლიკის ყველა მშრომელის დღესასწაულია.

ჟურნალის დაარსების შემდეგ განვლილი 50 წელი იყო ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობისათვის, კომუნისტური მშენებლობის წარმატებებისათვის პარტიისა და ხალხის გმირული ბრძოლისა და თავდადებული შრომის წლები, ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში ძირეული გარდაქმნებისა და ისტორიული მიღწევების წლები. ამ წლების მანძილზე ჟურნალ „მნათობს", რომელიც პარტიის აქტიური თანაშემწეა მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში, დიდი წვლილი შეჰქონდა ქართული საბჭოთა ლიტერატურის ჩამოყალიბებისა და შემდგომი განვითარების, სოციალისტური რეალიზმის დამკვიდრების საქმეში, აქტიურად იბრძოდა ლიტერატურის პარტიულობისა და ხალხურობისათვის, ხელს უწყობდა მოძმე რესპუბლიკების ეროვნულ ლიტერატურებთან, პირველ რიგში რუსულ ლიტერატურასთან, ურთიერთკავშირის გაძლიერებასა და გაფართოებას.

ქართველი საბჭოთა მწერლების მებრძოლი ორგანო, ჩვენი ხალხის შრომითი გმირობის მიუკერძოებელი მემატიანე, ჟურნალი „მნათობი" თანმიმდევრულად აშუქებდა და წარმართავდა ქართული ლიტერატურისა და კრიტიკის განვითარების პროცესს, მართალი მხატვრული სიტყვით უნერგავდა მკითხველებს მშვენიერების გრძნობას და აღაფრთოვანებდა მათ გმირობისათვის კომუნიზმის იდეების გასამარჯვებლად.

დღეს, როცა რესპუბლიკის მშრომელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, თავდადებით შრომობენ სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, როცა რესპუბლიკაში შექმნილია ნამდვილად შემოქმედებითი ატმოსფერო, ღრმავდება საზოგადოებრივი კლიმატის გაჯანსაღების პროცესი, ჟურნალ „მნათობის" რედაქცია, მისი ავტორთა კოლექტივი მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის მხარდამხარ დგანან კომუნისტური მშენებლობის მოწინავე მიჯნებზე, მაღალიდეური, მაღალმხატვრული ნაწარმოებებით რაზმავენ რესპუბლიკის მშრომელებს, მთელ ქართველ ხალხს მეცხრე ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისათვის.

ვუსურვებთ ჟურნალ „მნათობის" რედაქციის ყველა თანამშრომელსა და ავტორთა კოლექტივს ახალ შემოქმედებით წარმატებებს ხალხის, ჩვენი დიადი მრავალეროვანი სამშობლოს საკეთილდღეოდ, ნათელი კომუნისტური მომავლის საკეთილდღეოდ.

**საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი** — **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი** — **საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო**

## გაიხსნა რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს სესია

24 დეკემბერს დილის 10 საათზე კრემლის დიდ სასახლეში მუშაობა დაიწყო რუსეთის სფსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესიამ.

მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით, ფეხზე ამდგარნი შეხვდნენ დეპუტატები და სტუმრები ამხანაგებს ლ. ი. ბრეჟნევს, ი. ვ. ანდროპოვს, ა. ა. გრეჩკოს, ვ. ვ. გრიშინს, ა. პ. კირილენკოს, ა. ნ. კოსიგინს, თ. დ. კულაკოვს, კ. ტ. მაზუროვს, ა. ი. პელშეს, ნ. ვ. პოდგორნის, დ. ს. პოლიანსკის, მ. ა. სუსლოვს, ა. ნ. შელეპინს, პ. ნ. დემიჩევს, ბ. ნ. პონომარიოვს, მ. ს. სოლომენცევს, დ. თ. უსტინოვს, ვ. ი. დოლგიხს, ი. ვ. კაპიტონოვს, კ. თ. კატუშევს.

სესია გახსნა რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა ვ. ა. კოტელნიკოვმა.

სესიის განსახილველად გამოტანილია საკითხები — რუსეთის სფსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1975 წლის სახელმწიფო გეგმა, რუსეთის სფსრ 1975 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და რუსეთის სფსრ 1973 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება. (საქინფორმი).

## საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესიის გახსნის შესახებ

საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესია გაიხსნება 1974 წლის 26 დეკემბერს დილის 10 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების რეგისტრაცია და ცნობების გაცემა იწარმოებს 24 და 25 დეკემბერს 9-დან 21 საათამდე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, ოთახები — № 1, № 4, ტელეფონები: 99-08-54, 99-58-19, 99-56-19.

26 დეკემბერს რეგისტრაცია იწარმოებს დილის 8 საათიდან.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომა გაიმართება 1974 წლის 26 დეკემბერს დილის 9 საათსა და 30 წუთზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს საკავშირო-რესპუბლიკურ — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროდ გაერთიანების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

გაერთიანდნენ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო და საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტრო საკავშირო-რესპუბლიკურ — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროდ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 24 დეკემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

ბუნების დაცვის, გარემოს გაჯანსაღების, ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და ამ საქმისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების მიზნით შეიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 24 დეკემბერი.

## ლ. ი. ბრეჟნევის კრებული ქართულად

### საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის შესახებ




გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ" გამოუშვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებისა და სტატიების კრებული „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის შესახებ".

კრებული მოიცავს 1964-1973 წლების პერიოდს. კრებულში ღრმა ანალიზი აქვს გაკეთებული და შემოქმედებითად განვითარებულია კომუნისტური პარტიის ლენინური საგარეო პოლიტიკა, ამ ლენინური კურსის ძირეული საკითხები და დებულებანი.

კრებულში შესული მასალები მკაფიოდ გვიჩვენებენ, თუ როგორი სიმტკიცით ახორციელებენ ჩვენი პარტია და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტი სკკპ XXIV ყრილობის მიერ შემუშავებულ მშვიდობის პროგრამას, რომელსაც მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ძალები მხურვალე მოწონებით შეხვდნენ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საგარეო პოლიტიკური მოღვაწეობის მნიშვნელოვან მიმართულებებს რომ ახასიათებენ, კრებულში შესული მასალები მოგვითხრობენ მსოფლიო სოციალიზმის პოზიციების განმტკიცებისათვის ბრძოლის, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებთან ყოველმხრივი ძმური კავშირების განვითარების შესახებ; ნაჩვენებია, რომ ევროპასა და მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობისა და უშიშროებისათვის საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური სახელმწიფოების აქტიური ბრძოლის უმნიშვნელოვანესი რგოლებია: საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს შორის კონსტრუქციული თანამშრომლობის განვითარება, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და ამერიკის შეერთებულ შტატებთან საბჭოთა კავშირის ურთიერთობაში „ცივი ომიდან" დაძაბულობის შენელებისა და ურთიერთხელსაყრელი მშვიდობიანი თანამშრომლობისაკენ შემობრუნება, უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე სრულიად ევროპის თათბირის წარმატებით მომზადება და მუშაობის დაწყება.

ლ. ი. ბრეჟნევი აღნიშნავს, რომ „საერთაშორისო პოლიტიკაში ჩვენს სოციალისტურ რევოლუციურ კურსს პრინციპული საფუძვლები ჩაუყარა ლენინმა. ჩვენ ურყევად ვიცავთ მის მითითებებს, მის ანდერძს და მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითი სულისკვეთებისადმი, მისი პრინციპული მიზანსწრაფულობისადმი ერთგულება ახალი წარმატებების, ჩვენი სამართლიანი საქმის ახალი გამარჯვებების საწინდარია".

გამომცემლობის წინასიტყვაობაში ნათქვამია, რომ კრებულში „ზოგიერთი სიტყვა და მოხსენება მთლიანად არ იბეჭდება: კრებულში შეტანილია მხოლოდ ის ნაწილები, რომლებიც ეძღვნება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საგარეოპოლიტიკურ მოღვაწეობას".

უეჭველია, რომ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებისა და სტატიების ეს ახალი კრებული „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის შესახებ" დიდ დახმარებას გაუწევს კომუნისტებს, კომკავშირელებს და ყველა მშრომელს ჩვენი პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის საერთაშორისო მოღვაწეობის საკითხების ღრმად შესწავლაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მეოთხედი საუკუნეა თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანაში მუშაობს ხარატი ალექსანდრე გოცირიძე. იგი ქარხანაში პატივცემული კაცია, უფრთხილდება თავის მუშურ ღირსებას. მარტო მისი დამსახურების ჩამოთვლა მჭევრმეტყველურად მოწმობს ამას. ალექსანდრე არის კომუნისტური შრომის დამკვრელი, სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებული, აქტიური რაციონალიზატორი, დაჯილდოებულია მედლით „შრომითი მამაცობისათვის“.

მოწინავე წარმოების მუშაკი უწუნოდ მუშაობს, აქვს პირადი დამღა. 25 დასახელების დეტალს, რომელსაც იგი უშვებს, შემოწმება არ სჭირდება. ალექსანდრე სათავეში ჩაუდგა ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებას და მაღალი მაჩვენებლები მოიპოვა, ამასთან პირადი ხუთწლედი სამ წელიწადნახევარში შეასრულა. წარმოების მოწინავე მუშაკი თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატია.

სურათზე: მოწინავე ხარატი, კომუნისტური შრომის დამკვრელი ალექსანდრე გოცირიძე.

ს. თევზაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

# ავამაღლოთ მომავალ სპეციალისტთა იდეურ-თეორიული მომზადების დონე

## საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლების რესპუბლიკური თათბირი

„1975 წელს ჩვენი ქვეყნის წინაშე დგას ამოცანები, რომლებსაც უდიდესი ეკონომიური, პოლიტიკური და საერთაშორისო მნიშვნელობა აქვთ, — ხაზი გაუსვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის დეკემბრის პლენუმზე. — მთელი პარტია, მთელი ხალხი უნდა დავრაზმოთ მათ გადასაწყვეტად, აღვაფრთოვანოთ პარტიული აქტივი, მივაღწიოთ იმას, რომ ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის ბრძოლა გახდეს თვითეული კომუნისტის, თვითეული მშრომელის ღრმა შინაგანი, პირადი მოთხოვნილება“, დიდი ამოცანები დგას სპეციალისტების წინაშეც. საბჭოთა სპეციალისტი დღეს — ეს არის ადამიანი, რომელიც კარგად ფლობს მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების საფუძვლებს, ნათლად ხედავს პარტიისა და ქვეყნის პოლიტიკურ მიზნებს, აქვს ფართო მეცნიერული და პრაქტიკული მომზადება, ზედმიწევნით ფლობს თავის სპეციალობას.

„მოსკოვის ნ. ე. ბაუმანის სახელობის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელსა და სარატოვის ნ. გ. ჩერნიშევსკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების იდეურ-თეორიული დონის ამაღლებისათვის მუშაობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მიხედვით საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა საკითხს მიეძღვნა რესპუბლიკური თათბირი, რომელიც 19 დეკემბერს გაიმართა თბილისში.

თათბირში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების გამგეები და მასწავლებლები, საშუალო სპეციალური სასწავლებლების საზოგადოებრივ დისციპლინათა მასწავლებლები, უმაღლეს სასწავლებელთა რექტორები და პრორექტორები, პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციათა მდივნები, რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკები, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები.

გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, აღინიშნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ვ. სირაძის შესავალ სიტყვაში, რომ იმ მთელ რიგ თათბირებს შორის, რომლებიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოაწყო უკანასკნელი ორი წლის მანძილზე, დღევანდელ თათბირს ერთ-ერთი ყველაზე დიდმნიშვნელოვანი ადგილი უკავია. და ეს აიხსნება იმით, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების დაუფლება, კომუნისტური მსოფლმხედველობის შეთვისება, პარტიის პოლიტიკის ღრმა გაგება ახლა თვითეული საბჭოთა ადამიანის სასიცოცხლო აუცილებლობაა. საზოგადოებრივი მეცნიერებანი განვითარებული სოციალისტური საზოგადოების პირობებში იძენენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას. ქმნიან მტკიცე თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძველს საზოგადოების განვითარების სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიური და სულიერი პროცესების ხელმძღვანელობისათვის. ისინი სახავენ პერსპექტივას, მშრომელთა საზოგადოებრივ აქტივობას ანიჭებენ შეგნებულ, მიზანმიმართულ ხასიათს და ამით აჩქარებენ ჩვენს განვითარებას, ხდიან მას დინამიკურსა და ჰარმონიულს.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები მუდამ იყო ჩვენი პარტიის ყურადღების ცენტრში და ითვლებოდა საკვანძო, უმნიშვნელოვანეს საკითხებად ჩვენი საზოგადოების აწმყოსა და მომავლისათვის.

თუ რა უდიდეს ყურადღებას აქცევს ამ საკითხს პარტია, ამას მოწმობენ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი „საზოგადოებრივ მეცნიერებათა შემდგომი განვითარებისა და კომუნისტურ მშენებლობაში მათი როლის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ“, „მოსკოვის ნ. ე. ბაუმანის სახელობის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელსა და სარატოვის ნ. გ. ჩერნიშევსკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების იდეურ-თეორიული დონის ამაღლებისათვის მუშაობის შესახებ“, „ბელორუსიის პარტიულ ორგანიზაციაში იდეოლოგიური კადრების შერჩევისა და აღზრდისათვის მუშაობის შესახებ“ (1974 წელი).

შეფასებებს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს, რომლებსაც ეს დოკუმენტები შეიცავენ, უდიდესი მნიშვნელობა აქვთ მთელი ჩვენი იდეურ-პოლიტიკური მუშაობის შემდგომი სრულყოფისა და გაღრმავებისათვის, მისი ქმედითობის ამაღლებისათვის, ჩვენი ადამიანების ცხოვრებისა და შრომის ყველა სფეროზე, მოზარდი თაობის კომუნისტური მსოფლმხედველობის, პოლიტიკური შეგნებულობისა და შრომისმოყვარეობის, ზნეობრივი სახის ჩამოყალიბებაზე მისი გავლენის გაძლიერებისათვის.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია და თანამედროვე წარმოება ადამიანისაგან მოითხოვენ უფრო მაღალ ზოგად და პროფესიულ კულტურას, ღრმა თეორიულ ცოდნას, წარმოების მართვის უნარს, იმას, რომ იცოდეს ადამიანთა ფსიქოლოგია, და, მაშასადამე, სწორად აგებდეს ურთიერთობას გარშემომყოფებთან. იდეოლოგიური ბრძოლის ახლანდელი სიმწვავე მოითხოვს ღრმა პოლიტიკურ მომზადებასა და კლასობრივ პოზიციათა სიცხადეს. უკვე ეს მომენტები მოწმობენ, თუ რა როლი და პასუხისმგებლობა გვკისრება უმაღლეს სკოლას ახალგაზრდობის კომუნისტური მსოფლმხედველობის, ჩვენი სულიერი მორალური ღირებულებებისა და მაღალი იდეალებისადმი მისი ერთგულების ჩამოყალიბების ამოცანათა გადაწყვეტაში.

რესპუბლიკის უმაღლესმა სასწავლებლებმა, უწინარეს ყოვლისა საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრებმა, ბევრი რამ გააკეთეს პარტიის სულ უფრო მზარდ მოთხოვნათა განსახორციელებლად. მაგრამ დღეს უფრო მწვავედ, ვიდრე ოდესმე, იგრძნობა ყოვლად შეუწყნარებელი სერიოზული ნაკლოვანებანი სოციალური კათედრების, ცალკეული საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლების მუშაობაში. ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის ფორმალიზმი და სქემატიზმი, ცხოვრებისაგან მოწყვეტა და შაბლონი, ჯერ კიდევ დაბალია მთელი რიგი ლექციებისა და სემინარების იდეურ-თეორიული დონე. კვლავ დარჩა იმის ჩვეულება, რომ კურსს კითხულობდნენ დიდი ხნის მოძველებული კონსპექტებით, ზოგჯერ კი თავს არიდებდნენ მწვავე კითხვებს, რომლებსაც ახალგაზრდობა სვამს. დღემდე პრაქტიკულად გადაწყვეტილი არ არის საზოგადოებრივი დისციპლინების, როგორც თავიანთი მსოფლმხედველობითი ხასიათით ორგანულად ურთიერთდაკავშირებული დისციპლინების, სწავლების თანამიმდევრობის საკითხი. ხშირად ივიწყებენ იმ უცილობელ ფაქტს, რომ ამ მეცნიერებათა თვით ბუნება მოითხოვს, მასწავლებლისაგან მაღალ ზოგად კულტურას, ერუდიციასა და შემოქმედებითს პოტენციას.

ყველა ეს ნაკლი ერთად აღებული იწვევს კიდევ უფრო მეტ საფრთხეს — იმის უუნარობას, რომ საზოგადოებრივ მეცნიერებათა შესწავლა გადავაქციოთ მოქალაქის, კომუნიზმის აქტიური მშენებლის მტკიცე მარქსისტულ-ლენინური მრწამსის გამომუშავებად. ჩვენს საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლებს მუდამ როდი შესწევთ უნარი დაეუფლონ ახალგაზრდა ადამიანთა გონებასა და გულს. განა ამას არ მოწმობენ ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების იმ ზოგიერთი კურსდამთავრებულის მორალურ-პოლიტიკური კრახის ფაქტები, რომლებიც შედარებით ადვილად დაადგნენ მექრთამეობის, დატაცებისა და სხვა სოციალურად საშიშ დანაშაულობათა მოლიპულ გზას, რომლებმაც ბევრად განაპირობეს ნეგატიური მოვლენები და ტენდენციები, წარსულში რომ იყო რესპუბლიკის ეკონომიურ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

მტკიცედ ასრულებს რა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების მოთხოვნებს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი თანამიმდევრულად და გადაჭრით ამხილებს არსებულ სერიოზულ ჩავარდნებს — სუბიექტივიზმისა და ვოლუნტარიზმის შედეგს — რესპუბლიკის ეკონომიკისა და სულიერი ცხოვრებისადმი პარტიულ ხელმძღვანელობაში. დასახულია და ხორციელდება ცხოვრების ყველა სფეროში წარსულის დანაშრევების, ავადმყოფური მოვლენების განუხრელი დაძლევის, ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებისა და მშრომელთა მორალურ-პოლიტიკური განწყობის გაუმჯობესების ღონისძიებათა მთელი სისტემა.

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა უდიდეს როლს ანიჭებს პარტიის ცენტრალური კომიტეტი ჩვენს იდეოლოგიურ ინსტიტუტებს, და პირველ რიგში საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრებს, სოციალური დისციპლინების მასწავლებელთა მრავალრიცხოვან კოლექტივს რესპუბლიკის ცხოვრების ყველა მხარის გარდაქმნისათვის ბრძოლაში. ეს როლი არაერთხელ ყოფილა ხაზგასმული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმებისა და ბიუროს ბევრ გადაწყვეტილებაში, რომლებიც ფუძემდებელი გახდა რესპუბლიკის იდეოლოგიური ცხოვრებისათვის, მათ შორის ამასწინანდელ დადგენილებაში „რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

თათბირზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრმა ამხ. გ. ჯიბლაძემ.

აზრთა გაზიარებაში მონაწილეობდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი პოლიტიკურ-აღმზრდელობით მუშაობაში დოცენტი ო. ნიორაძე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი პროფესორი ი. ბაკურაძე, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სკკპ ისტორიისა და მეცნიერული კომუნიზმის კათედრის გამგე პროფესორი ლ. ებანოიძე, ა. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის პარტიული ორგანიზაციის მდივანი რ. დონაძე, საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა მეთოდიკური საბჭოს ფილოსოფიის სექციის თავმჯდომარე პროფესორი მ. გაგოიძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერული კომუნიზმის კათედრის გამგე ლ. გორგილაძე, რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა მეთოდიკური საბჭოს პოლიტიკური ეკონომიის სექციის თავმჯდომარე პროფესორი დ. ქორიძე, ქუთაისის ა. წულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის მეცნიერული კომუნიზმის კათედრის გამგე პროფესორი გ. ჩხეიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ინფორმაციის ინსტიტუტის დირექტორი პროფესორი ი. მირცხულავა, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ზაჩუაშვილი, თბილისის ზოოვეტერინარული სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის ფილოსოფიის კათედრის გამგე დოცენტი ვ. სიგუა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი სოციოლოგიის კათედრის გამგე პროფესორი ვ. ქვაჩახია, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრის გამგე პროფესორი ლ. ჩიქავა, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ფილოსოფიისა და მეცნიერული კომუნიზმის კათედრის გამგე დოცენტი ბ. ბეჟუა.

თათბირზე გამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს საზოგადოებრივ მეცნიერებათა სამმართველოს ფილოსოფიისა და მეცნიერული კომუნიზმის სექტორის გამგე დოცენტი მ. კონკინი.

მომხსენებელმა და ორატორებმა აღნიშნეს, რომ მოპოვებულია გარკვეული წარმატებანი საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში. სკკპ ისტორიის, მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის, მეცნიერული კომუნიზმის საფუძვლებისა და სხვა სოციალური დისციპლინების 567 მასწავლებლიდან 80 მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორია, 309 მეცნიერებათა კანდიდატი და დოცენტია; წარმოებს მუშაობა კათედრების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, სწავლების მოწინავე გამოცდილების განზოგადებისა და გავრცელებისათვის, სასწავლო-მეთოდიკური ლიტერატურის შექმნისა და თარგმნისათვის, მეცნიერულ-კვლევითი სამუშაოების კოორდინაციისათვის.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში აკადემიური წარმატების ამაღლებას ბევრად შეუწყო ხელი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი მოვლენების — ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის, სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის, სრულიად საკავშირო ალკკ 50 წლისთავის, საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომუნისტური პარტიის ნახევარი საუკუნის იუბილეს დღესასწაულობის მასალების შესწავლამ, სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდამ და პოპულარიზაციამ, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკის, კომუნისტური მშენებლობის თეორიისა და პრაქტიკის საკვანძო საკითხებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებისა და ნაშრომების შესწავლამ.

უმაღლესი სასწავლებლების რექტორატებმა, საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრებმა, პარტიულმა ორგანიზაციებმა სახელმძღვანელოდ მიიღეს დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური დოკუმენტები, რომლებიც განსაზღვრავენ სკკპ ისტორიის, მეცნიერული კომუნიზმის, ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიის სწავლების იდეურ-თეორიული დონის შემდგომი ამაღლების, ახალგაზრდობის მარქსისტულ-ლენინური მომზადების, კომუნისტური აღზრდის მთელი სისტემის გაუმჯობესების გზებს.

ყოველივე ამან კეთილნაყოფიერი გავლენა მოახდინა მოსწავლე ახალგაზრდობის მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე, მისი სოციალური, შრომითი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობის ამაღლებაზე.

წარმატების მთავარი საწინდარია, აღნიშნეს მომხსენებელმა და ორატორებმა, კვალიფიციური ლექტორები, მათი სწორი შერჩევა და მომზადება.

ლექტორზე, ხაზგასმით აღინიშნა თათბირზე, პირველ რიგში დამოკიდებულია, შეძლებს თუ არა საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლებამ გაიტაცოს სტუდენტი, გაამდიდროს მისი ცოდნა, აიძულოს იაზროვნოს, დაუკავშიროს გაგონილი იმას, რაც ხდება ცხოვრებაში, მის ირგვლივ.

ბევრი მასწავლებელი ვერ უზრუნველყოფს საზოგადოებრივ-პოლიტიკური დისციპლინების კურსის კითხვას მაღალ თეორიულ დონეზე. ამის შედეგად სტუდენტები ვერ იღებენ ღრმა, ყოველმხრივ მარქსისტულ-ლენინურ განათლებას, რაც უარყოფით გავლენას ახდენს მათს მსოფლმხედველობასა და იდეურ მრწამსზე, მათთვის მაღალი მოქალაქეობრივი თვისებების ჩანერგვაზე, მათს ესთეტიკურ და ეთიკურ აღზრდაზე, აქტიური საზოგადოებრივი და პოლიტიკური საქმიანობისათვის მზადებაზე.

ხშირად ლექციები ეწყობა ისე, რომ არ ითვალისწინებენ სტუდენტთა ინტელექტუალურ მოთხოვნილებებსა და ფსიქოლოგიას. სალექციო კურსებს იშვიათად აახლებენ და ამდიდრებენ. ცხოვრებას მოწყვეტილი მოსაწყენი ლექციები, რომელშიც მოყვანილი არ არის კონკრეტული და მკაფიო მაგალითები, ნაკლებად იპყრობენ მსმენელების ყურადღებას. ამის შედეგად ხშირია სტუდენტთა მიერ ლექციებისა და სასემინარო მეცადინეობის გაცდენა. სასემინარო მეცადინეობაზე ყოველთვის როდი ქმნიან შემოქმედებითს ატმოსფეროს, სტუდენტებს არ უვითარებენ დამოუკიდებელ აზროვნებას, არ უნერგავენ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა პირველწყაროებზე მუშაობის ჩვევებს, რაც ხელს უშლის მათ მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლებაში.

თათბირზე მოიყვანეს იმის კონკრეტული მაგალითები, როცა ეწყობა მოსაწყენი, ზოგადი, ცხოვრებას მოწყვეტილი სრულიად უმაქნისი ლექციები, როცა ზოგჯერ ამ ლექციებში მოჰყავთ პოლიტიკურად უწიგნური და მარქსიზმ-ლენინიზმის თვალსაზრისით მიუღებელი დებულებანი. ორატორებმა დაასახელეს ლექტორები, რომლებიც მთელი რიგი წლების მანძილზე ურიგდებიან იმას, რომ მათს ლექციებზე ხმაურია, არ არის კონტაქტი მსმენელებთან, რომ მათი სტუდენტების უმრავლესობა სესიებზე ცოდნისათვის საშუალო შეფასებებს იღებს.

მაგალითად, 1973-1974 სასწავლო წელს საზოგადოებრივ დისციპლინებში საშუალო შეფასებათა რიცხვმა რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში 44,4 პროცენტი შეადგინა.

სალექციო კურსებში ხშირად აღძრული არ არის დღის საჭირბოროტო საკითხები, თეორიულ დებულებებს არ უკავშირებენ ცხოვრებას. ხშირად თეორიულ პრობლემათა გაშუქება მოკლებული სიღრმეს, სუსტად ამხილებენ თანამედროვე ბურჟუაზიული რეფორმისტული და რევიზიონისტული კონცეფციების ანტიკომუნისტურ მიმართულებასა და თეორიულ უსუსურობას.

სასწავლო-მეთოდიკური მუშაობა, ლექციები, სპეციალური კურსები, სემინარები, გამოცდები ჯერ კიდევ ჩამორჩება თანამედროვეობის მაღალ მოთხოვნებს. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლებაში სუსტად იყენებენ სწავლების ტექნიკურ საშუალებებს, საკმარისი არ არის საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, იგი ჩამორჩება მოთხოვნებს. ბევრ უმაღლეს სასწავლებელში საზოგადოებრივი დისციპლინების კაბინეტები განლაგებულია მოუხერხებელ შენობებში, ცუდად არის უზრუნველყოფილი საჭირო ლიტერატურით.

თათბირზე აღინიშნა, რომ საჭიროა უფრო ფართოდ დავნერგოთ სტუდენტთა მოხსენებებისა და რეფერატების განხილვა, მოვაწყოთ დისკუსიები საზოგადოებრივ მეცნიერებათა ყველაზე აქტუალურ და დიდმნიშვნელოვან საკითხებზე, გავაუმჯობესოთ სტუდენტთა სამეცნიერო წრეების მუშაობა, მეცნიერული კონფერენციებისა და კონკურსების მოწყობა. უფრო ფართოდ უნდა ჩავაბათ სტუდენტთა წინაშე გამოსვლებში შრომის გმირები, წარმოების მოწინავეები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, ქვეყნის სხვა უმაღლესი სასწავლებლების თვალსაჩინო მეცნიერები და სპეციალისტები. განუწყვეტლივ უნდა სრულვყოფდეთ სასწავლო-მეთოდიკურ მუშაობას, ვაუმჯობესებდეთ სალექციო პროგრამებსა და სასემინარო მეცადინეობის მეთოდიკას. ამავე დროს, აღნიშნეს ორატორებმა, ბევრი პროგრამა დახვეწას მოითხოვს. ეს ეხება სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროების პროგრამებსაც.

საჭიროა, ხაზგასმით აღინიშნა თათბირზე, ყოველი ღონე ვიხმაროთ, რათა ავამაღლოთ სტუდენტთა აკადემიური წარმატება, მოვსპოთ საშუალო შეფასებანი. უნდა ამაღლდეს მესამე შრომითი სემესტრის როლი. თვითეული სტუდენტი მოვალეა გაიაროს შრომითი და საზოგადოებრივი საქმიანობის სკოლა. ყოველნაირად უნდა გამოვიყენოთ სასწავლო პროცესი, რათა სტუდენტებს ჩავუნერგოთ მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობა, მებრძოლის, საბჭოთა ადამიანის, სოციალისტური სამშობლოს პატრიოტის მორალური სახის შესაფერისი თვისებები.

სერიოზული ხარვეზები საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლებაში, აღნიშნეს ორატორებმა, საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლების კადრების შერჩევის, აღზრდისა და განაწილების საქმეში არსებული ნაკლოვანებების და არსებითი შეცდომების შედეგია.

აღინიშნა, რომ უმაღლესი კვალიფიკაციის საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლების კადრები განაწილებულია არათანაბარზომიერად, მათი უმეტესი ნაწილი თავმოყრილია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მაშინ როცა სხვა უმაღლეს სასწავლებლებში, განსაკუთრებით თბილისის ფარგლებს გარეთ განლაგებულ უმაღლეს სასწავლებლებში, უკიდურესად ცოტაა უმაღლესი კვალიფიკაციის მასწავლებლები.

რესპუბლიკაში დიდხანს ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა საზოგადოებრივი დისციპლინების მასწავლებელთა კადრების მომზადებას. პროტექციონიზმი, ნათლიმამობა და სხვა ანტისაზოგადოებრივი მოვლენები არცთუ იშვიათად ცვლიდნენ პარტიულ მიდგომას ისეთი დიდმნიშვნელოვანი საქმისადმი, როგორიცაა ახალგაზრდობის იდეურ აღმზრდელთა და დამრიგებელთა კადრების შერჩევა და მომზადება. პროტექციონიზმი და დაბალი მომთხოვნელობა დამკვიდრდა აგრეთვე ასპირანტთა მომზადების საქმეში.

თათბირის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ საჭიროა გარდაიქმნას მთელი მუშაობა მაღალი კვალიფიკაციის საზოგადოებრივი დისციპლინების მასწავლებელთა მომზადებისათვის, უნდა შევცვალოთ სუსტი ლექტორები, მაღალ დონეზე მოვაწყოთ მასწავლებელთა ატესტაცია.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლების კადრების შერჩევისა და განაწილების მდგომარეობის სერიოზული და ყოველმხრივი ანალიზის საფუძველზე რესპუბლიკაში უნდა განხორციელდეს მაღალკვალიფიციური ლექტორებით უმაღლესი სასწავლებლების საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების განმტკიცების ღონისძიებანი. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების გამგეების შერჩევასა და განაწილებას.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლების ახალგაზრდა კადრების მომზადება განხორციელდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული ასპირანტული საშუალებით, აგრეთვე ქვეყნის მსხვილი სამეცნიერო ცენტრების უმაღლესი სასწავლებლების მიზნობრივ ასპირანტურებში. ამასთან ასპირანტურის პარტიული ორგანოებისა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის რეკომენდაციებით მიიღებენ ყველაზე ნიჭიერ და მომზადებულ ახალგაზრდებს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს საზოგადოებრივ მუშაობაში.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლებას ხელს შეუწყობენ კურსები, რომლებიც ეწყობა თბილისში. ორატორებმა ილაპარაკეს საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლების სხვა ქმედითს ფორმებსა და მეთოდებზეც. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ლექტორს ეკუთვნის გადამწყვეტი სიტყვა მოზარდი თაობის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების დიდ და ძნელ საქმეში, იმაში, რომ სტუდენტთა ცოდნა გადაიქცეს მათს მრწამსად.

კომუნისტური მშენებლობის, კომუნისტური და ბურჟუაზიული იდეოლოგიების უკომპრომისო ბრძოლის ამოცანები, თანამიმდევრული, მიზანდასახული საქმიანობა, რომელსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ახორციელებს რესპუბლიკაში პარტიული და სახელმწიფო ცხოვრების ლენინური ნორმების აღსადგენად, ბრძოლა სოციალისტური საზოგადოების ანტიპოდების წინააღმდეგ ახალ პასუხსაგებ მოთხოვნებს უყენებენ საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრებს.

ამასთან, აღინიშნა თათბირზე, ამ კათედრების საქმიანობა ჯერ კიდევ არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს, რითაც ბევრად აიხსნება საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლებაში არსებული ნაკლოვანებანი.

კათედრებზე საზოგადოებრივ-პოლიტიკური დისციპლინების მასწავლებელთა თეორიული და მეთოდიკური მუშაობის ორგანიზაცია ხშირად ფორმალური ხასიათისაა და ეფექტიანი არ არის. არ წარმოებს სისტემატური და გეგმაზომიერი მუშაობა იმისათვის, რომ კათედრების წევრებს გააცნონ უახლესი ლიტერატურა და გამოიყენონ იგი სწავლების გამდიდრებისა და გაღრმავებისათვის. სუსტია მომთხოვნელობა ერთმანეთისადმი. მაგალითად, 1972-1973 სასწავლო წელს 449 ლექციაზე ურთიერთდასწრების შედეგების განხილვისას 196 შემთხვევაში კათედრებმა გამოიტანეს შეფასება „დამაკმაყოფილებელი“ და მხოლოდ 11 შემთხვევაში — „ფრიადი“. 1973-1974 სასწავლო წელს 437 ლექციიდან „დამაკმაყოფილებლად“ შეაფასეს 149 ლექცია. კათედრების მოწინავე მუშაკები, პროფესორები ნაკლებად არიან დატვირთული ლექციებით, ზოგჯერ კი წლების მანძილზე არ კითხულობენ ლექციებს.

უმაღლესი სასწავლებლების რექტორები და პარტიული კომიტეტები საკმარისად არ სწვდებიან საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების მუშაობას. ისინი ყოველთვის საგნობრივად როდი სწავლობენ მასწავლებელთა აღზრდის, შერჩევისა და განაწილების საკითხებს, ჯეროვნად არ ზრუნავენ საზოგადოებრივ-პოლიტიკური სწავლების დონის ამაღლებისათვის, სუსტად უწევენ კონტროლს საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების მეცნიერულ პროდუქციას, ამ კათედრების მუშაობაში არ აბამენ ყველაზე ერუდირებულ და განათლებულ სპეციალისტებს.

ნაკლები ყურადღება ექცევა საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლების ატესტაციას. ზოგიერთ კათედრაზე დიდხანს ურიგდებოდნენ არაჯანსაღ მორალურ-ფსიქოლოგიურ კლიმატს, კათედრების განცალკევებულობას, იმას, რომ ნამდვილად მეცნიერულ კამათსა და დისკუსიებს ცვლიდა ზოგიერთი მეცნიერის ამბიციის წახალისება.

თათბირზე ითქვა, რომ საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების ხელმძღვანელობაში სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებს რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსა და მისი საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მუშაობას.

რესპუბლიკაში ჯერ კიდევ არ არის მთლიანად აღმოფხვრილი ნაკლოვანებანი, რომლებიც არსებული ნეგატიური მოვლენებითაა გამოწვეული. სუსტად წარმოებს მომავალ სპეციალისტთა აღზრდა კომუნისტური ზნეობის სულისკვეთებით.

ამ ბოლო დროს ამ საქმეს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამიტომ ამას წინათ რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტი ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური აღზრდის სახელმძღვანელოდ საზოგადოებრივ საწყისებზე შეიქმნა პრორექტორებისა და დეკანთა მოადგილეების ინსტიტუტი. უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსა და განათლების სამინისტროში კი შემოღებულია იდეურ-აღმზრდელობითს მუშაობაში მინისტრების მოადგილეთა თანამდებობანი და შექმნილია შესაბამისი სამმართველოები. ეს, უთუოდ, დიდ დადებით როლს შეასრულებს.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრები უნდა გახდნენ იდეურად მტკიცე, გამოწრთობილი, მაღალკვალიფიციური და ცხოვრებისათვის მომზადებული სპეციალისტების ნამდვილი აღმზრდელები.

თათბირზე აღინიშნა, რომ საზოგადოებრივ მეცნიერებათა ბევრი კათედრის მუშაობა სუსტადაა დაკავშირებული შესასწავლ დისციპლინებთან და თანამედროვეობასთან. იშვიათად მიმართავენ აქტუალური სოციალურ-პოლიტიკური პრობლემების კომპლექსურ დამუშავებას, სუსტია კათედრების სამეცნიერო-კვლევითს სამუშაოთა კოორდინაცია.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში კვლევის არასაკმარისად მაღალ დონეს და მისდამი ნაკლებ მომთხოვნილობას მოწმობს ის ფაქტი, რომ 1971-73 წლებში უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ არ დაამტკიცა 8 დისერტაცია, აქედან 7—სადოქტორო.

ნაკლები ყურადღება ეთმობოდა ქართულ ენაზე მაღალხარისხოვანი სახელმძღვანელოებისა და დამხმარე წიგნების შექმნას. იშვიათად გამოდის რესპუბლიკის საზოგადოებათმცოდნე მეცნიერთა შრომები საკავშირო ასპარეზზე, ნაკლებად იბეჭდება ცენტრალურ ჟურნალებში.

რესპუბლიკაში ჯერ კიდევ არ ეწყობა საკმარისი რაოდენობით მნიშვნელოვანი სამეცნიერო კონფერენციები, დისკუსიები, სიმპოზიუმები საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მიერ ამას წინათ მიღებული დადგენილება „რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, აღნიშნეს თათბირის მონაწილეებმა, მეტად დროული და დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტია, რომელიც გვეხმარება აღმოვფხვრათ ამ დარგში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი. დადგენილებაში მოცემულია კონკრეტული რეკომენდაციები, თუ რა გზით ავამაღლოთ სწავლებისა და მეცნიერული კვლევის დონე ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში.

სოციალისტური ინტერნაციონალიზმის, ხალხთა მეგობრობისა და საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით ახალგაზრდობის აღზრდის საკითხები უნდა იყოს სამეცნიერო-პედაგოგიური კოლექტივების და უწინარეს ყოვლისა საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების ყურადღების ცენტრში. ძირეულად უნდა გაუმჯობესდეს მეცნიერული ათეიზმის სწავლება, ათეისტური პროპაგანდა.

თათბირზე დიდი ყურადღება დაეთმო სწავლისაგან თავისუფალ დროს ახალგაზრდობასთან მუშაობას, მის ესთეტიკურ და ზნეობრივ აღზრდას. ახალგაზრდობა უნდა აღვზარდოთ საბჭოთა ცხოვრების წესისათვის უცხო მოვლენებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით. სხვა ღონისძიებათა შორის რეკომენდებული იყო სოციალური კვლევის ფართო გამოყენება, სტუდენტების მიერ საზოგადოებრივ დისციპლინათა დაუფლება, საზოგადოებრივ-პოლიტიკური პრაქტიკა, წარმოებასთან სტუდენტთა კავშირის განმტკიცება, მათი აქტიური მონაწილეობა სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებების, ხუთწლიანი გეგმის, სახალხო მეურნეობის, ეკონომიკის, კულტურული და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს შემდგომი აღმავლობისათვის პარტიისა და მთავრობის დავალებების შესასრულებლად ბრძოლაში.

თათბირზე ითქვა, რომ საჭიროა პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები უფრო საგნობრივად წარმართავდნენ საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების მუშაობას, სისტემატურად უწევდნენ კონტროლს სოციალურ-პოლიტიკურ დისციპლინათა სწავლების დონეს, ახორციელებდნენ მასწავლებელთა კვალიფიციური, მაღალიდეური კადრებით საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების განმტკიცების ღონისძიებებს. ისინი მუდამ უნდა უთმობდნენ ყურადღებას თვითეულ მასწავლებელს, კონკრეტულად ეხმარებოდნენ მათ ყოველდღიურ მუშაობაში. მიზანშეწონილია, აღინიშნა თათბირზე, რომ საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების ასისტენტების, დოცენტების, პროფესორებისა და გამგეების თანამდებობა შეტანილი იყოს საქართველოს კომპარტიის შესაბამისი რაიონული, საქალაქო და საოლქო კომიტეტების ნომენკლატურაში.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლების რესპუბლიკურმა თათბირმა ჩაიარა მაღალ იდეურ დონეზე, გაიმართა პრინციპული ბოლშევიკური კრიტიკა და თვითკრიტიკა. თათბირის მიერ მიღებული რეკომენდაციები, უეჭველია, ხელს შეუწყობენ სტუდენტთა მარქსისტულ-ლენინური მომზადების შემდგომ გადიდებას და აამაღლებენ უმაღლესი სასწავლებლების საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების როლს მაღალკვალიფიციური სპეციალისტების, სოციალისტური სამშობლოს ღირსეული მოქალაქეების, კომუნიზმის აქტიური მშენებლების აღზრდის საქმეში.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. სირაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ჩერქეზია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებლების განყოფილების გამგე შ. სახნიაშვილი.

(საქინფორმი).

# დიდებით მოსილი ნახევარსაუკუნოვანი გზა

მნათობი 50

შესრულდა 50 წელი, რაც გამოვიდა საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანოს — ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალის „მნათობის“ პირველი ნომერი.

ჟურნალი „მნათობი“ უყვართ მრავალრიცხოვან მკითხველებს. ამის დადასტურება იყო საიუბილეო საღამო, რომელიც 23 დეკემბერს გაიმართა თბილისის რუსთაველის სახელობის აკადემიურ თეატრში.

საიუბილეო საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა გ. აბაშიძემ.

საიუბილეო საღამოზე გამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით მან გულთბილად მიულოცა ჟურნალის რედაქციის კოლექტივს, მკითხველებს სახელოვანი იუბილე. ამხ. გ. ძოწენიძემ წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს მისალმება ჟურნალ „მნათობის“ რედაქციისადმი და გამოაქვეყნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ჟურნალ „მნათობის“ „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ. ეს ჯილდო ჟურნალს მიენიჭა საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის და მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში აქტიური მონაწილეობისათვის. შეკრებილთა ტაშის გრიალში გ. ძოწენიძემ რედაქციის დროშას მიაბნია მთავრობის ჯილდო.

ამხ. გ. ძოწენიძემ გულითადად მიულოცა რედაქციის კოლექტივს სამშობლოს მაღალი ჯილდო და უსურვა რედაქციის მუშაკებს, რომ ორდენოსანი ჟურნალი „მნათობი“ კვლავაც პარტიის ერთგული თანაშემწე იყოს მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში, დაემსახურებინოს მკითხველთა კიდევ მეტი სიყვარული და პატივისცემა.

ჟურნალის ნახევარსაუკუნოვანი მოღვაწეობის, რედაქციის კოლექტივის დღევანდელი ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა ჟურნალის მთავარმა რედაქტორმა მწერალმა გ. ნატროშვილმა.

საქართველოს მეცნიერთა სახელით რედაქციის თანამშრომლებს მიულოცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა შ. ძიძიგურმა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მრავალათასიანი კოლექტივის სახელით იუბილარს მიესალმა პრორექტორი, პროფესორი ს. ჯორბენაძე, მან წაიკითხა უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება ჟურნალის მთავარი რედაქტორის მწერალ გ. ნატროშვილის ი. ჯავახიშვილის სახელობის მედლით დაჯილდოების შესახებ. მწერალ გ. ნატროშვილს ეს ჯილდო მიენიჭა უნივერსიტეტისა და ჟურნალ „მნათობის“ კოლექტივების ტრადიციული მეგობრობის განმტკიცებაში აქტიური მონაწილეობისათვის.

დედაქალაქის მუშათა კლასის სახელით იუბილარს მისალმება გადასცა თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის მუშამ გ. მახარაძემ.

ჟურნალის რედაქციის კოლექტივს სახელოვანი იუბილე მიულოცეს: უკრაინის მწერალთა კავშირის სახელით — მწერალმა ო. ხომენკომ, სომხეთის მწერალთა კავშირის სახელით — მწერალმა ვ. კარენცმა, აზერბაიჯანის მწერალთა კავშირის სახელით — დრამატურგმა გ. გიანჯალიმ, აფხაზეთის მწერალთა კავშირის სახელით — პოეტმა ა. ჯონუამ.

საღამოზე მოგონება წაიკითხა ჟურნალის რედაქციის ერთ-ერთმა პირველმა თანამშრომელმა, მწერალმა-აკადემიკოსმა დ. შენგელაიამ.

საიუბილეო საღამოზე მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს კრიტიკოსმა გ. ასათიანმა, პოეტმა ა. კალანდაძემ, მწერლებმა რ. ჯაფარიძემ და გ. დოჩანაშვილმა.

სადღესასწაულო კონცერტში მონაწილეობა მიიღეს ქართული ხელოვნების ოსტატებმა.

საიუბილეო საღამოს დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჯ. პატიაშვილი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. შარტავა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე. (საქინფორმი).

# მასობრივი განათლების დიდმნიშვნელოვანი ფორმა

## სახალხო უნივერსიტეტების საბჭოს პლენუმი

რესპუბლიკის 428 სახალხო უნივერსიტეტის 71 ათასამდე მსმენელმა გაიმდიდრა ცოდნა მეცნიერების, ტექნიკის, ლიტერატურის, ხელოვნების ხულ სხვადასხვა დარგში, ეუფლება საზოგადოებრივ პროფესიებს, იფართოებს ტექნიკურ და ზოგადკულტურულ ჰორიზონტს. სახალხო უნივერსიტეტების რესპუბლიკური საბჭო, რომელიც ცდილობს მრავალფეროვანი გახადოს თავისი მუშაობის ფორმები და უფრო სრულად შეუხამოს ისინი მსმენელთა მოთხოვნილებებს, აფართოებს უნივერსიტეტების პროფილს.

ამასთანავე სახალხო უნივერსიტეტების მუშაობაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი. მათი ქსელი ჯერ კიდევ არ ვითარდება თანაბრად. მთელ რიგ ქალაქებსა და სამრეწველო რაიონებში ჯერ კიდევ არ გავრცელებულა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცოდნის, ბუნებისმეტყველების, სოფლის მეურნეობის, საბჭოთა ვაჭრობის და მომსახურების სფეროების სახალხო უნივერსიტეტები.

მთელ რიგ რაიონებსა და ქალაქებში პარტიული, საზოგადოებრივი ორგანიზაციები სახალხო უნივერსიტეტების ხელმძღვანელობისათვის პასუხისმგებლობას ძირითადად აკისრებენ საზოგადოება „ცოდნას“, არ უწევენ მათ ორგანიზაციულ და მეთოდიკურ დახმარებას, არ ზრუნავენ ქსელის მიზნობრივ განვითარებაზე, სასწავლო-მეთოდიკური და მეცნიერული მუშაობის დონის ამაღლებაზე.

ყოველივე ეს აღინიშნა სახალხო უნივერსიტეტების საბჭოს მე-6 რესპუბლიკურ პლენუმზე.

„ბელორუსიის პარტიულ ორგანიზაციაში იდეოლოგიური კადრების შერჩევისა და აღზრდისათვის მუშაობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად სახალხო უნივერსიტეტების ორგანიზაციული და სამეცნიერო-მეთოდიკური ხელმძღვანელობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ მოხსენება გააკეთა სახალხო უნივერსიტეტების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ დ. გოგოხიამ.

მოხსენების გამო გაიმართა კამათი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. სირაძე და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ლექტორთა ჯგუფის გამგე თ. ზარგინავა. (საქინფორმი).

# შრომის ვეტერანებს — მთავრობის ჯილდო

ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის კულტურის სახლში შეიკრიბნენ ქუთაისის ლენინის სახელობის მაუდის ფაბრიკისა და აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მოწინავეები, შრომის ვეტერანები, საწარმოთა პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელები. კრება მიეძღვნა ამ ორი საწარმოს შრომის ვეტერანთა საჯაროდ პატივისცემას. იგი შესავალი სიტყვით გახსნა ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ დ. ქართველიშვილმა.

ქალაქის საბჭოს აღმასკომის მდივანმა ნ. ტყეშელაშვილმა წაიკითხა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ქუთაისის ვეტერან-ფეიქართა „შრომის ვეტერანის“ მედლით დაჯილდოების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ვადაჭკორიამ ჯილდოები გადასცა ლენინის სახელობის მაუდის ფაბრიკის ვეტერანებს მ. ბასილაძეს, ბ. გვენეტაძეს, ტ. გვარამაძეს, ვ. მოგელაძეს, შ. გოგიტაძეს, ნ. კუბლაშვილს, ვ. ლომიძეს, თ. ნადირაშვილს, ა. პავლიკს, ზ. ყიფშიძეს, გ. ყიფიან ტ. შალამბერიძეს, ა. შვანგირაძეს, თ ჩხენკელს.

მედლები გადაეცათ აგრეთვე აბრე შუმის საწარმოო გაერთიანების ვე ტერან ფეიქრებს ს. ბელიაშვილს, ქ ბაქრაძეს, ზ. შალამბერიძეს, ნ. წი ვწივაძეს, გ. ჯიმშელეიშვილს.

ამხ. ვ. ვადაჭკორიამ მხურვალე მიულოცა შრომის ვეტერანებს დ უსურვა მათ ჯანმრთელობა და ახალ შრომითი წარმატებები.

დაჯილდოებულთა სახელით სიტყვე ბი წარმოთქვეს და თავიანთი შრო მის დიდი დაფასებისათვის პარტიას და მთავრობას მადლობა გადაუხა დეს მაუდის ფაბრიკის ოსტატმა ტ. გვარამაძემ, აბრეშუმის საწარმო გაერთიანების მქსოველმა ნ. სირბი ლაძემ, მაუდის ფაბრიკის მთავარ ბუღალტრის მოადგილემ თ. ნადირა შვილმა.

შრომის ვეტერანებს მიესალმნე მაუდის ფაბრიკის მუშა მ. კუხალა შვილი, ამავე ფაბრიკის დირექტორ ვ. ხაზარაძე და აბრეშუმის საწარმო გაერთიანების პარტიული კომიტეტ მდივნის მოადგილე ჯ. კემულარია. (საქინფორმი).



სახელი და დიდება შრომის ვეტერანებს!

# ნაჯაფი ხელები

ხმაურმა ხომ არ შეგაწუხათ? ჩვენს პირობებში ხმაურიც პრობლემაა, განსაკუთრებით ძველ დაზგებზე,—მითხრა დირექტორმა, როცა ერთიმეორის მიყოლებით მწყობრად ჩადგმულ დაზგებს თავი დავაღწიეთ, ეზოში გამოვედით და სული მოვითქვით.

ზამთრის პირი იდგა. ფოთლებშემოძარცული ხეები ქარის ყოველ შემოქროლებაზე ისე ირხეოდნენ, თითქოს სიცივისაგან კანკალებენო.

საბჭოთა საქართველოს საფეიქრო მრეწველობის პირმშოს — ვ. ი. ლენინის სახელობის მაუდის ფაბრიკის დირექტორი ვიტალი ხაზარაძე ყველაზე ახალგაზრდაა ქუთაისის სამრეწველო საწარმოთა მეთაურებს შორის. სამიოდე წლის წინათ, პოლიტექნიკური ინსტიტუტი რომ დაამთავრა, განაწილებით აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებაში მოხვდა. ახალბედა ინჟინერი ჯერ ოსტატად მუშაობდა, შემდეგ საამქროს უფროსის მოადგილედ. მალე თავი გამოიჩინა და ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსად დაანიშნეს, ხოლო 1974 წლის მაისიდან ქალაქის ყველაზე ძველი საწარმოს დირექტორობა ანდეს. ძნელია უხელმძღვანელო ფაბრიკას, რომელსაც თავისი წარსულით ყოველთვის პირველი და საპატიო ადგილი უჭირავს. მაგრამ, როგორც ამბობენ, ახალგაზრდებს სიძნელეები არ აშინებთ. პირიქით, ვისაც უნარი და ორგანიზატორული ნიჭი აქვს, თავი სწორედ ახალგაზრდობაში უნდა გამოიჩინოს. ეტყობა, ვიტალიც მალე შეეთვისა ახალ გარემოს, საფუძვლიანად გაეცნო ფაბრიკის ავ-კარგს, საქმის ცოდნით მომითხრობს ყოველ წვრილმანზეც კი. ცდილობს ძირითადიდან ყოველთვის არსებითი გამოჰყოს.

— ხმაური ვახსენე, — დაუბრუნდა ისევ დაწყებულ საუბარს,—პრობლემები, იცოცხლე, თავსაყრელია. ერთბაშად ყველაფერს ვერ ჩასწვდები, არა და, დრო, დრო არ ითმენს...

„დრო არ ითმენსო“ — თქვა და შეჩერდა. დღევანდელი დღე მართლაც არა ჰგავს გუშინდელს, ისე როგორც ხვალინდელი არ დაემსგავსება დღევანდელს. დღეები და თვეები თოვლივით გვადნება ხელში, დღის გასაქეთებელი ... თუ ხვალისთვის გადადე, ზეგ საკუთარ თავს რომ აპატიო, მომავალი არ დაგზოგავს...

ამიტომ ჩქარობს ახალგაზრდა დირექტორი. ახლა ფაბრიკის კოლექტივი ყოველწლიურად მილიონ ასი ათასამდე მეტრ ქსოვილს აწვდის მომხმარებელს, ხოლო ახლო მომავალში, თუ გნებავთ, მეათე ხუთწლედის პირველ წლებში, ზემდგომი ორგანოების დადგენილების შესაბამისად მისი წარმადობა თითქმის ერთიორად, ორი მილიონ მეტრ შალის ქსოვილამდე უნდა გაიზარდოს, ადრე, როცა ამგვარი წინსვლას, ცხოვრების აუცილებლობით ნაკარნახევ ამოცანებს ჰკრიჰკრავდა, ზოგჯერ დანაშაულებრივი გულგრილობითაც ეკიდებოდნენ, ერთბამად დაასკვნეს—კორპუსები ძველ ფაბრიკაზე დავაშენოთო, გაფძლებსო... ქალაქის ახალმა პარტიულმა ხელმძღვანელობამ კი საქსებით სწორად და მოფიქრებულად დააყენა ახალი ფაბრიკის მშენებლობის საკითხი, ძველისძველი ფაბრიკის გადაკეთება და რეკონსტრუქცია დიდ ხარჯებთან იქნებოდა დაკავშირებული.

— დიახ, ქუთაისში დაიწყება მაუდის ახალი ფაბრიკის მშენებლობა და ეს სიმბოლურად გამოძახილი იქნება იმ უანგარო და ძმური დახმარებისა, რომელიც რუსეთის პროლეტარიატმა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წლებში, დიდი ლენინის ინიციატივით, საქართველოს მშრომელებს აღმოუჩინა. რთულ მთელი ფაბრიკა თავისი მოწყობილობით ქუთაისში გადმოაგზავნა, — დაასკვნა დირექტორმა.

ახალი ფაბრიკა, ბუნებრივია, მუშათა ახალ კადრებს მოითხოვს, სწორედ ამან დამაინტერესა.

— თქვენ არ იცნობთ თინა ჩხენკელს? — კითხვაზე კითხვით მიპასუხა ვ. ხაზარაძემ და თან დაუმატა: — გაესაუბრეთ, ჩვენს ფაბრიკაში ვეტერანთა ძლიერი კოლექტივია.

თქვა დიდი რუსი მწერალი ლევ ტოლსტოი წერდა: ბედნიერების უეჭველი პირობა შრომაა: ჯერ ერთი, საყვარელი და თავისუფალი შრომა, მეორეც, ფიზიკური შრომა, რომელიც კაცს მადას უღვიძებს და მაგარ, მშვიდ ძილს ჰგვრის. უკვდავი მწერლის ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში ერთხელ კიდევ დავრწმუნდი, როცა შრომის ვეტერანს თინა ჩხენკელს შევხვდი.

— სხვა ბედნიერება არასოდეს მქონია, შრომაა ჩემი ბედნიერებაც და სიცოცხლეც. — თქვა მან.

მუშა ქალის ეს სიტყვები სხვანაირად მესმოდა. თინა, შრომის მადლს ბავშვობიდანვე ზიარებული თმებგათეთრებული ქალი, გულწრფელია, პირველყოვლისა გულწრფელია იგი საკუთარ თავთან, გულწრფელია მეგობრებთან, კოლექტივის თითოეულ წევრთან, ოჯახთან, სხვანაირად არც შეიძლება.

— როგორ გავიგოთ თქვენი სიტყვები: შრომა ბედნიერებაც არის და სიცოცხლეც?—ვეკითხები თინას, რომელმაც ის-ის იყო ცვლა დაამთავრა, სამუშაო ადგილი დაასუფთავა, დაზგები გაწმინდა და ახალგაზრდა მქსოველს ეთერ ბაზღაძეს გადააბარა.

შემომხედა, გაიღიმა, მაგრამ უმალვე მოიღრუბლა, ღიმილი ტუჩებზევე შეახმა და ნაღვლიანად დაიწყო:

— წასაქცევად ჰქონ არ დატრიალებულა ჩემს თავზე, თორემ სხვა ყველაფერი ვიწვნიე ჩემი ცხოვრების ექვსი ათეული წლის მანძილზე. ეს დაზგები რომ არა, ჩემი კოლექტივი რომ არა, ალბათ, ვერც გადავრჩებოდი.

უცებ ერთ დაზგასთან შედგა, მოიხედა, დაზგებს შორის მოფუსფუსე გოგონას რაღაც უთხრა (ხმაურში ვერ გავიგონე), თავსაფარი შეისწორა და ჭარასავით დატრიალდა:

განიხავთ საქსოვი დაზგები? ლირაზე გაბმული ლარებივით ირხევიან ძაფები, ქვემოთ ერთმანეთს მჭიდროდ ეკვრიან, თანდათან მაღლა მიიწევს ნაირფერებად მოქარგული ქსოვილი. განსაკუთრებული გულისყური სჭირდება აქ მომუშავე ადამიანს, წინასწარ უნდა შენიშნო, მაქოზე როდის თავდება ძაფი, დაზგის შეუჩერებლივ გამოცვალო, დრო რომ მოიგო. მქსოველის მთელი ხელოვნება სწორედ გულისყურსა და ხელებზეა დამოკიდებული.

კიდევ რაღაც უთხრა თინამ გოგონას, ერთხანს მიაყურადა და შემდეგ ჩემსკენ წამოვიდა.

— ამ გოგონამ პროფტექნიკური სასწავლებელი დაამთავრა, დიდი ხანი არ არის, რაც ჩვენთან მუშაობს, პრაქტიკულად ჯერ კიდევ უჭირს — გზადაგზა მიამბობს თინა, — ცოდნა ერთია, მაგრამ ჩვევაა საჭირო.

ამას წინათ ერთ-ერთი საწარმოს ხელმძღვანელი მომითხრობდა — რა ღონისძიება არ ვიხმარე, მაგრამ მუშათა დენადობას ვერაფერი მოვუხერხეო. განსაკუთრებით ახალგაზრდები ჭირვეულობენ, საშუალო სკოლას რომ დაამთავრებენ, თავს გადაგვაყრიან, გინდა თუ არა სამუშაოზე მომაწყეო, მოაწყობ, გავა ხანი და მიდიან. ინსტიტუტში რომ ჩააბარებდეს, ვინ მამაძაღლი, არა, არ მოეწონა, ვერ შეეგუა, ხომ არ დააბამ... „ფრენიების“ საწინააღმდეგოდ თუ რამე ღონისძიება არ დაისახა, მუშათა დენადობას არაფერი ეშველება.

ვეტერანმა მუშამ კი ერთი სიტყვით მოჭრა — ჩვევაა საჭიროო. ახლა ვინ იტყვის იმას, რომ ჩვენი ახალგაზრდობა ცოდნით არ მდიდრდებოდეს, წიგნი, რადიო, ტელევიზორი, თეატრი, კინო, საყოველთაო სწავლება. ერთი სიტყვით, ცოდნა ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეგიძლია შეიძინო, მაგრამ რაღაც მაინც არ არის საკმარისი. ვინ იცის, შეიძლება სკოლა და ოჯახი შრომის ჩვევას თავიდანვე ვერ ანვითარებს მოზარდში. ჩვევის გამომუშავება რომ ყოველ საქმეში აუცილებელი და საჭიროა, ვფიქრობ, ელემენტარული ჭეშმარიტებაა და თინამაც სწორედ ამაზე მიუთითა.

მაუდის ფაბრიკაში თითოეული მქსოველი ორ დაზგას ემსახურება, სამუშაო დღის განმავლობაში იგი სულ მოძრაობაშია, ჩასამუხლი დრო არ რჩება, გამოიანგარიშეს და ხანდახან ორ-სამი კილომეტრი მანძილი გამოუდის გავლილი, თანაც დაძაბულობა, ხმაური. რასაკვირველია, ჩვევის გარეშე ძნელია.

— ოცდაცამეტ წელში, ბიძაჩემმა კოწია თევდორაძემ ფაბრიკაში სამუშაოდ რომ მომიყვანა, ცნობილ მქსოველს ალექსანდრა კოხრეიძეს მიმაბარეს. თვალიდან არ მიშორებდა, მაქოს აძღებაგაწყობას ასჯერ გამამეორებინებდა, ტყავს გამაძრობდა ნარჩენებში ერთი ბეწო ძაფი რომ ზედმეტი გადამეყოლებინა. ზოგიერთი მქსოველი ჩქარობს, მაქო მთლიანად დაცლილი არ არის ძაფიდან და მაინც ცვლის, არ ენაღვლება, რაღონდ რაოდენობრივად მეტი მოქსოვოს. ერთ ნაწილს კი გამოცდილება არ ყოფნის, სწორედ აქ არის ჩვენი ხელი საჭირო. ხარისხის პარტიული კონტროლის კომისიაში ამირჩიეს, პარტბიურო ჩვენი მუშაობის შედეგებს მალე განიხილავს, ალბათ ამ საკითხებზე მეც მომიწევს გამოსვლა. ეჰ, ცოტა განათლება მაინც რომ მქონოდა... ვერ მოვასწარი...

მეტად მამის ილარიონ ჩხენკელის სახეც მოგონებებშიც აღარ შემორჩა თინას. პირველი მსოფლიო ომის პერიოდში რუსეთში ფულის საშოვნელად წასული და მოუკლავთ თუ მომკვდარა, მთხრობელი არავინ არის. მერე ქუთაისში ჭირი გაჩენილა, დედა, ბაბუა, დედის ძმები ერთბაშად დაავადებულან, ხუთი წლის თინა, უმცროსი ბიძა კოწია თევდორაძეს ბებია ლიზას სოფელში გაუხიზნავს და ძლივსძლივობით გადაურჩენია. მათ გარდა მთელი ოჯახი ერთბაშად ამოწყვეტილა. დღისით მეზობლის გოგო-ბიჭებთან თამაშით გართულს მარტოობა არ ახსოვდა, მაგრამ საღამოს, მის ტოლებს რომ დედები სახლისაკენ მოუხმობდნენ, გულდათუთქული გოგონა ლიზა ბებიას მკერდში ჩამალავდა ცრემლებით დასველებულ სახეს და ესმენდა ხაროში ჩაგდებული სამი დის ზღაპარს. მატყლს რომ შეუსვენებლივ ჩეჩავდნენ და რთავდნენ. ბებიას გარდა მომხედავი არავინ შემორჩა, მართალია, სკოლაში მიაბარეს, მაგრამ ორი კლასი რომ დაამთავრა, ძროხები მიანდვეს სამწყემსავად და სწავლისათვის ვიღას ეცალა. ისევ ბიძამ კოწია თევდორაძემ უშველა. იგი ახლადამუშავებულ მაუდის ფაბრიკაში მთელივად მუშაობდა და ობოლი დისწულიც აქვე მოაწყო საქსოვ საამქროში. წელში გამართა, კოლექტივს შეეთვისა, სტახანოვურ მოძრაობას პირველი გამოეხმაურა, ობლობის წყლული შრომის სიხარულმა თითქოს მოუშუშა. დაქორწინდა, მაგრამ ცხოვრების ჩარხი ისევ უკუღმა დატრიალდა — ომი დაიწყო, საყვარელი აღმზრდელი ბიძა და მეუღლე არმიაში გაიწვიეს, გამამხნევებელ წერილებს ერთხანს კი იღებდა, ბოლოს ისიც შეწყდა, და დაზგების ხმაურში იკარგებოდა დარდი.

— შეიძლება ეს მარტო მე მესმოდეს, — ამბობს თინა, — უხმაუროდ დაზგები ვერც კი წარმომიდგენია. მაშინ, როცა ხელმეორედ დამცინა ბედმა, სული დაზგებმა შემინარჩუნეს. აბა, ყური მიუგდე, რას გაიძახიან — „არ გა-ტყდე, არ გა-ტყდე, არ გა-ტყდე“...

დაზგების მონოტონურ ხმაურს მართლაც მივაყურე, თითქოს მომესმა კიდეც მათი ძახილი — „არ გა-ტყდე, არ გა-ტყდე, არ გა-ტყდე“...

— ომის დროს მთელი კოლექტივი ფეხზე იდგა, მამაკაცები ქალებმა შევცვალეთ, ზოგჯერ ორ-სამი ცვლა ვმუშაობდით, მაგრამ დაღლას ვერ ვგრძნობდით. დედა ენაცვალოს, მაშინ ჩემი ერთადერთი ბიჭუნაც მიიღებდა შრომას, ფრონტის დავალებებს ყოველთვის თავის დროზე ვასრულებდით, რადგანაც მწამდა ჩემი მოქსოვილი შალი მძაფრ ყინვაში ბიძასა და მეუღლეს ათბობდა.

ომი დამთავრდა, თინა ამაოდ ელოდა ბიძასა და მეუღლეს. ერთბაშად მოტყდა, კინაღამ წონასწორობა დაკარგა.

სამამულო ომიდან დემობილიზებულმა, პარტბიუროს მაშინდელმა მდივანმა გიგა ყურაშვილმა ყველაზე ადრე შეიცნო მოწინავე მუშა ქალის გულისტკივილი, გაამხნევა, საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩააბა, პარტიის რიგებში მიიღეს.

ბიჭი წამოიჩიტა, სწავლას გული ვერ დაუდო, შოფრობა ირჩია, თვითონ ობლობაში გაზრდილი მამით ობოლს წინ როგორ გადაუდგებოდა. ჰო და, კიდევ ერთხელ გავარდა მეხი — ბრმა შემთხვევამ იმსხვერპლა ერთადერთი ვაჟიც.

დაზგები კი მაინც თავისას იმეორებდნენ — „არ გა-ტყდე, არ გა-ტყდე, არ გა-ტყდე“...

—ისევ კოლექტივი, ისევ ჩემი ფაბრიკა,—განაგრძობს თვალცრემლიანი ქალი, — წამომიშველიენ, გვერდში ამომიდგნენ, ბელგოროდიდან დაღუპული შვილის ცხედარი ჩამომასვენებინეს, გამიპატიოსნეს ჩემი ბიჭი...

ამდენი ტრაგედია კარგ ვაჟკაცსაც კი ქედს მოახრევინებდა, მაგრამ თინა ჩხენკელი სულით არ დაეცა. და აი, მხოლოდ ახლა მივხვდი, თუ რატომ თქვა მან: სხვა ბედნიერება არასოდეს არ მქონია, შრომაა ჩემი ბედნიერებაც და სიცოცხლეც. სამოცდაათი წლის პენსიაზე გავიდა, მაგრამ გაგიგონია?! ისევ საწარმოს დაუბრუნდა, სანამ პირში სული მიდგას ამ დაზგებს ვერ მოვცილდებიო.

ვიტალი ხაზარაძემ, ვეტერანი მუშის ავტობიოგრაფია რომ მოისმინა, ველარ მოითმინა და მითხრა: მეგონა მთელი კოლექტივი შევისწავლე, მეგონა მისი თვითეული წევრის სულსა და გულს ჩავწვდი, მაგრამ ჯერ სადა ხარ, რამდენი რამ შეგიძლია, თურმე ისწავლო თვითეული მუშისაგან, შეგიძლია ისწავლო ყოველთვის, ყოველ ფეხის ნაბიჯზე.

თინა ჩხენკელს ნაჯაფი ხელები მაგიდაზე დაეყრდნო და ფიქრობდა. თვალი მივატანე ამ ხელებს, რომელსაც დღემდე 600 ათასამდე მეტრი მაუდი მოუქსოვია, 600 ათასი მეტრი ხომ 600 კილომეტრია, ე. ი. ორჯერ უფრო მეტი გზა, რაც ქუთაისიდან თბილისამდე. აბა, კარგად დაუფიქრდით რამდენი ადამიანის გული გაუხარებია ამ ხელებს, ამ მართლაცდა ნაჯაფ ხელებს.

დუდე გედენიძე.

ქ. ქუთაისი.

ხუთწლედის გმირი — ლიტერატურის გმირი

# მსოფლიო დღეს

## დიდმნიშვნელოვანი ფაქტორები

### „როზ ელ-იუსეფი“ საბჭოთა კავშირ-ეგვიპტის ურთიერთობის შესახებ

კაირო, 24 დეკემბერი. (საკდესი). კაიროს ყოველკვირეულის „როზ ელ-იუსეფის“ სტატიაში საკადრის პასუხს აძლევენ იმ წრეებს, რომლებიც ცდილობენ ჩრდილი მოსცხონ საბჭოთა კავშირის პრინციპულ პოზიციას, რომელიც მუდამ გამოდის არაბ ხალხთა მხარეზე მათ ბრძოლაში ისრაელის აგრესიის შედეგების ლიკვიდაციისათვის. პალესტინის არაბი ხალხის კანონიერი ეროვნული უფლებების აღდგენისათვის.

ყოველკვირეული ხაზს უსვამს, რომ როგორც 1967 წელს, ისე 1973 წლის ოქტომბრის ომში სწორედ საბჭოთა კავშირის დახმარებამ და მხარდაჭერამ საშუალება მისცა არაბულ ქვეყნებს ჯეროვანი პასუხი გაეცათ აგრესორისათვის, შეენარჩუნებინათ თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

ცილისმწამებელნი და ჭორიკანები, — წერს ჟურნალი, ამტკიცებდნენ, საბჭოთა კავშირი არ არის ეგვიპტის მეგობარი, რომ მან თავს მოახვია 1973 წლის ოქტომბერში ცეცხლის შეწყვეტა ეგვიპტელთა ნების წინააღმდეგო. ზოგიერთმა მსოფლიო იმპერიალიზმის ლიდერის — ამერიკის შეერთებული შტატების გვერდითაც კი დააყენა საბჭოთა კავშირი.

გადაწყვეტილება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ოქტომბრის ომის დროს, წერს „როზ ელ-იუსეფი“, „ასი პროცენტით არაბული იყო, რაც თვით პრეზიდენტმა სადათმა დაადასტურა. ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ, როცა ისრაელი ცდილობდა გამოეყენებინა შანსი სუეცის არხის დასავლეთ ნაპირზე თავისი დაჯგუფების გაფართოებისათვის, საბჭოთა კავშირმა როდი მიგვატოვა გაჭირვების დროს, როგორც იგივე ცილისმწამებლები ამტკიცებენ. პირიქით, აღნიშნავს ყოველკვირეული, მესამედ ჩვენი ურთიერთობის ისტორიაში საბჭოთა კავშირმა გააფრთხილა აგრესორი და მისი მფარველნი, რასაც, როგორც მთელ მსოფლიოში აღიარეს, დიდმნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვა.

მომავალი წლის იანვარში, დაასკვნის ყოველკვირეული, კაიროში ჩამოვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი. ეს ვიზიტი მოწოდებულია ახალი ფურცელი გადაშალოს ეგვიპტე-საბჭოთა კავშირის ურთიერთობაში, ან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, გზა გაუხსნას უწინდელი ტრადიციების აღორძინებას.

ეთიოპია

## უკანასკნელი გაფრთხილება

**ადის-აბება, 24 დეკემბერი. (საკდესი). ეთიოპიის დროებითმა სამხედრო მთავრობამ დღეს გამოაქვეყნა უკანასკნელი გაფრთხილება ფეოდალურ-მონარქისტული წრეების წარმომადგენლების მიმართ, რომლებიც დაჟინებით არიდებენ თავს სახელმწიფოსათვის გადასახადების გადახდას.** 1974 წლის 30 დეკემბრის შემდეგ ნათქვამია მთავრობის განცხადებაში, იმ პირთა მთელი საკუთრება, რომლებსაც აქვთ დავალიანება საგადასახადო სამმართველოსადმი, ჩამორთმეული იქნება კონფისკაციის წესით და დაექვემდებარება სახელმწიფოს კონტროლს.

მანამდე ქვეყნის სამხედრო ხელისუფალთა განკარგულებით ზოგიერთი მსხვილი ფეოდალი, ფაბრიკანტი, სახლთმფლობელი, სასულიერო პირი, რომლებიც ეთიოპიელი ხალხის ხარჯზე გამდიდრდნენ, იძულებული გახდნენ დაებრუნებინათ სახელმწიფოსათვის ფულის დიდი თანხები, აგრეთვე დაეფარათ მრავალი წლის საგადასახადო დავალიანება.

## თეთრი სახლის ცნობა

ვაშინგტონი, 24 დეკემბერი. (საკდესი). თეთრმა სახლმა გამოაცხადა, რომ პრეზიდენტმა ჯ. ფორდმა ვიცე-პრეზიდენტი ნ. როკფელერი დანიშნა ეროვნული უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილისა და შინაგან საქმეთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის პოსტებზე, რომლებსაც თვითონ პრეზიდენტი მეთაურობს. ამას გარდა, ნ. როკფელერი იქნება წევრი კომიტეტისა, რომელიც სწავლობს საგარეო პოლიტიკის საკითხებს და შესაბამის რეკომენდაციებს აძლევს პრეზიდენტს.

პრეზიდენტმა ჯ. ფორდმა განაცხადა, რომ ნ. როკფელერი იქნება მისი სრულუფლებიანი „მუშა პარტნიორი“ და დიდმნიშვნელოვან როლს შეასრულებს ქვეყნის საშინაო პოლიტიკისა და ეკონომიკის საკითხების გადაწყვეტისას.

## ● ამბები ფაქტები

საკდესი და უცხოეთის პრესის სააგენტოები იტყობინებიან

საბერძნეთი

### შეიქმნა საკონსტიტუციო კომიტეტი

ათენი, 24 დეკემბერი. (საკდესი). საბერძნეთის მთავრობამ დღეს დამტკიცა ქვეყნის ახალი კონსტიტუციის პროექტი, რომლის განხილვა პარლამენტში დაიწყება საშობაო არდადეგების შემდეგ 7 იანვარს და სამ თვეს გასტანს. კონსტიტუციის პროექტის დეტალური შესწავლისათვის შექმნილია სპეციალური საკონსტიტუციო კომიტეტი, რომელშიც შევიდნენ პარლამენტში წარმოდგენილი ყველა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები. კომუნისტური პარტიისაგან კომიტეტში შევიდნენ საბერძნეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჰ. ფლორაკისი და კ. კაპოსი. საკონსტიტუციო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშნულია დეპუტატი „ახალი დემოკრატიის“ პარტიისაგან ქ. ცაცოსი.

კონსტიტუციის პროექტის მომავალ განხილვასთან დაკავშირებით გაზეთმა „ვიმამ“ სარედაქციო სტატიაში სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ მთავრობამ უგულვებელყო ოპოზიციურ პარტიათა წინადადება, რომ კონსტიტუციის პროექტის განხილვა საკონსტიტუციო კომიტეტში ღია იყოს. მთავრობის გადაწყვეტილება, წერს გაზეთი, აძნელებს პროექტის ნამდვილად კრიტიკული განხილვის შესაძლებლობას.

## დადებითი შედეგები

ჟენევა, 23 დეკემბერი. (საკდესი). ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მეორე ეტაპზე საახალწლო დღესასწაულთან და იმ აუცილებლობასთან დაკავშირებით, რომ დელეგაციებმა თავიანთ მთავრობებს უნდა მოახსენონ გაწეული მუშაობის შედეგები, გამოცხადებულია შესვენება მიმდინარე წლის 23 დეკემბრიდან 1975 წლის 17 იანვრამდე.

ამ შესვენებას თათბირი სოლიდური დადებითი შედეგებით ეგებება. წინ მიიწევს თათბირის ძირითადი პოლიტიკური დოკუმენტის პროექტის მომზადება, რომელიც მოიცავს ევროპის უშიშროების კარდინალურ ნიერებისა და ტექნიკისა და გარემოს დარგში თანამშრომლობა. შემუშავებულია დასკვნითი დოკუმენტის კარი, რომელიც ეხება გარემოს დაცვას. შეთანხმებულია ტექსტი იმ დიდი მასშტაბის პროექტების შესახებ, რომლებიც საერთო ინტერესს წარმოადგენენ. მონაწილე სახელმწიფოებმა განაცხადეს, რომ მზად არიან გამოიყენონ თავიანთი ეკონომიური პოტენციალი და ბუნებრივი რესურსები, რათა გაშალონ თანამშრომლობა გრძელვადიან საფუძველზე დიდი მასშტაბის პროექტების ფორმით უწინარეს ყოვლისა ისეთ დარგებში, როგორიც არის ენერგეტიკა და ნედლეულის რესურსები.

● სუვერენული თანასწორობა ● სუვერენიტეტისათვის დამახასიათებელ უფლებათა პატივისცემა ● ძალის ან ძალის მუქარის გამოუყენებლობა ● სუვერენიტეტისათვის დამახასიათებელი საზღვრების ურღვევობა ● სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობა ● დავის მშვიდობიანი მოწესრიგება ● საშინაო საქმეებში ჩაურევლობა ● ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემა.

საკითხებსა და პრინციპებს, რომლებითაც თათბირის მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა იხელმძღვანელონ თავიანთ ურთიერთობაში. წინასწარ რეგისტრირებულია ათი პრინციპიდან შვიდი პრინციპის ტექსტები, რომლებიც განსაზღვრა ჰელსინკის რეკომენდაციებმა: სუვერენული თანასწორობა, სუვერენიტეტისათვის დამახასიათებელ უფლებათა პატივისცემა; ძალის ან ძალის მუქარის გამოუყენებლობა; საზღვრების ურღვევობა; სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობა; დავის მშვიდობიანი მოწესრიგება; საშინაო საქმეებში ჩაურევლობა; ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემა;

ჩამოყალიბებულია, თუმცა ჯერ არ არის მიღებული უკლებლივ ყველა დელეგაციის მიერ, მერვე პრინციპი — ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და იმ უფლების შესახებ, რომ თვითონ განაგებდნენ თავიანთ ბედს.

მალე დამთავრდება მუშაობა თათბირის დღის წესრიგის მეორე პუნქტის ტექსტებზე — ეკონომიკის, მეცნიერებისა ... მიღწეული და თათბირის დოკუმენტებში ასახულია შეთანხმებანი, რომლებიც ეხება საქმიან კონტაქტებს, ეკონომიურ ინფორმაციას, თანამშრომლობას სტანდარტიზაციის დარგში, არბიტრაჟს. მთავრდება ტექსტების დაფორმულება მრეწველობისა და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის საერთაშორისო ტურიზმისა და ტრანსპორტის შესახებ. მნიშვნელოვანი პროგრესი მიღწეულია — და ამას ხაზს უსვამს ყველა დელეგაცია — ბოლო დროს თათბირის დღის წესრიგის მესამე პუნქტის გამო — თანამშრომლობა ჰუმანიტარულ დარგებში.

პრაქტიკულად შემუშავებულია კარი განათლების დარგში თანამშრომლობის შესახებ. თათბირის მონაწილე ოცდათხუთმეტი სახელმწიფო შეთანხმდა ბევრ საკითხზე, რომლებიც ეხება თანამშრომლობას ინფორმაციის, კულტურის, საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პირობებში კონტაქტების განვითარების დარგში.

იაპონია

## დამატებითი ბიუჯეტი

ტოკიო, 24 დეკემბერი. (საკდესი). ხანგრძლივი და მძაფრი კამათის შემდეგ იაპონიის პარლამენტმა დაამტკიცა 2.098.700 მილიონი იენი დამატებითი ბიუჯეტი მიმდინარე საფინანსო წლისათვის, რომელიც 1975 წლის 31 მარტს მთავრდება.

იაპონიის მთავრობა იძულებული იყო ასეთი უზარმაზარი დამატებითი ბიუჯეტი შეედგინა იმის გამო, რომ ძლიერდება ინფლაცია, რომელმაც მოიცვა იაპონიის ეკონომიკა. ფასების სწრაფმა ზრდამ აიძულა მთავრობა გამოეყო დამატებითი ასიგნებანი.





უნგრეთი

ახალი სპორტული კომპლექსი აშენდა ქალაქ ოზდში. სამსართულიან შენობაში მოთავსებულია სავარჯიშო დარბაზები, გასახდელები, საშხაპეები. შეჯიბრებების ჩასატარებელი სპორტული დარბაზი 1.500-დან 3.500-მდე მაყურებელს იტევს.

მტი — საკდესის ფოტო.

## საბჭოთა მთავრობის მოწვევით

23 დეკემბერს საბჭოთა მთავრობის მოწვევით მოსკოვში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა ინდონეზიის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ადამ მალიქი.

ინდონეზიისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ აეროდრომზე ა. მალიქსა და მის თანმხლებ პირებს შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. პ. ფირიუბინი, სსრ კავშირის ელჩი ინდონეზიაში პ. ხ. კუზნეცოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილებათა გამგეები დ. ს. ნიკიფოროვი, ი. ფ. შპედკო, სხვა ოფიციალური პირნი.

შემხვედრთა შორის იყვნენ ინდონეზიის ელჩი სსრ კავშირში სურიონო დარუსმანი, სსრ კავშირში აკრედიტებული სხვა მთელ რიგ დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები. (საკდესი).

## ა. ა. გრომიკოსა და ა. მალიქის მოლაპარაკება

24 დეკემბერს დაიწყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოსა და ინდონეზიის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ადამ მალიქის მოლაპარაკება, რომელიც ოფიციალური ვიზიტით იმყოფება მოსკოვში საბჭოთა მთავრობის მოწვევით.

მოლაპარაკების დროს, რომელიც საქმიანი ხასიათისა იყო, მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი საბჭოთა კავშირ-ინდონეზიის ორმხრივი ურთიერთობის საკითხებზე. აღინიშნა, რომ საბჭოთა კავშირ-ინდონეზიის მეგობრული ურთიერთობის განვითარება შეესაბამება ორი ქვეყნის ხალხთა ინტერესებს, საერთაშორისო ვითარებაში მიმდინარე პოზიტიური ცვლილებების საერთო სულისკვეთებას, ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის გაფართოებას.

ა. ა. გრომიკომ და ა. მალიქმა განიხილეს აგრეთვე საერთაშორისო მდგომარეობის ზოგიერთი ურთიერთსაინტერესო აქტუალური პრობლემა. ამასთან დიდი ყურადღება დაეთმო აზიაში დაძაბულობის შენელებისა და უშიშროების საკითხებს.

(საკდესი).

ესპანეთი

## აახლებენ ფასადს

**მადრიდი. 24 დეკემბერი. (საკდესი). მთავრობის ოფიციალურ ბიულეტენში გამოქვეყნდა კანონი ესპანეთში „პოლიტიკური ასოციაციათა“ ლეგალიზაციის შესახებ.**

დღემდე ერთადერთი ლეგალური პოლიტიკური ორგანიზაცია ქვეყანაში იყო ეროვნული მოძრაობა, რომელსაც სათავეში უდგას თვით ფ. ფრანკო.

ახალი კანონის თანახმად, აკრძალულია ყველა იმ პოლიტიკური ჯგუფის საქმიანობა, რომლებსაც უკავიათ ცენტრზე უფრო მემარცხენე პოზიციები. „პოლიტიკურ ასოციაციათა“ შექმნა, რომლებშიც სულ ცოტა უნდა იყოს 25 ათასი წევრი, ექვემდებარება ეროვნული მოძრაობის უმკაცრეს კონტროლს. მის ხელმძღვანელ ორგანოს — ეროვნულ საბჭოს — უფლება აქვს ნება დართოს ან აკრძალოს ეს ორგანიზაციები.

35 წლის მანძილზე ესპანეთის მთავრობამ პირველად გადაწყვიტა „დააკანონოს“ პოლიტიკური აქტივობა ქვეყანაში და ამით „განაახლოს არსებული რეჟიმის ფასადი“.

თურქეთი

## ეკონომიკის სიძნელენი

სტამბოლი, 24 დეკემბერი. (საკდესი). თურქეთის ეკონომიკა მძიმე მდგომარეობაშია, განაცხადა ეგეოსის რაიონის სამრეწველო პალატის თავმჯდომარემ შინასი ერტანმა. „თუ 1975 წელს გაგრძელდა იგივე კურსი, რაც 1974 წელს, — თქვა მან, — ეკონომიკაში შეიქმნება კიდევ უფრო დიდი სიძნელენი“.

აშშ

## დაძაბულობის შენელებისათვის

### ჰ. კისინჯერის ინტერვიუ ჟურნალ „ნიუსუიკისადმი“

ვაშინგტონი, 23 დეკემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჰ. კისინჯერმა ინტერვიუ მისცა ჟურნალ „ნიუსუიკს“, რომელშიც განაცხადა, რომ წლევანდელ ამბებს შორის ყველაზე მაღლა უნდა დავაყენოთ შეთანხმება გამალებული სტრატეგიული შეიარაღების შეკავების შესახებ, რომელიც მიღწეულ იქნა ვლადივოსტოკში. მე ვფიქრობ, თქვა სახელმწიფო მდივანმა, რომ მას სწორედ ასე შეაფასებს ისტორია. ამ შეთანხმების მთავარი ამოცანაა მისწრაფება ბოლო მოვუღოთ გამალებული შეიარაღების მანკიერ წრეს. სახელმწიფო მდივანმა გამოთქვა აზრი, რომ ამ შეთანხმების მიღწევის შემდეგ მოლაპარაკება შეიარაღების შემცირების შესახებ უფრო წარმატებით წარიმართება.

უპასუხა რა კითხვებზე სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო ეკონომიური ურთიერთობის განვითარების შესახებ, ჰ. კისინჯერმა აღიარა, რომ კონგრესის მიერ მიღებული კანონპროექტი სავაჭრო რეფორმის შესახებ შეიცავს დისკრიმინაციულ შეზღუდვებს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ვაჭრობისა და საბჭოთა კავშირისათვის კრედიტების მიცემის მიმართ. სახელმწიფო მდივანმა ხაზი გაუსვა, რომ ახლა ამერიკის ადმინისტრაციას კონგრესში ამ საკითხის გამო აშკარად უზომო მოთხოვნები და პირობები ეღობება წინ.

დაძაბულობის შენელება არ ნიშნავს, განაცხადა ჰ. კისინჯერმა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი თანამებრძოლნი გახდნენ. იგი ნიშნავს, რომ ჩვენ ვრჩებით ისევ მეტოქეები, იდეოლოგიურად შეუთავსებელნი, მაგრამ ამავე დროს ვცდილობთ მოვსინჯოთ ნიადაგი ერთმანეთთან თანამშრომლობისათვის.

ჰ. კისინჯერის აზრით, მოლაპარაკება ახლო აღმოსავლეთის კრიზისის მოგვარების შესახებ ახლა უფრო ძნელი გახდა, ვიდრე ერთი წლის წინათ იყო. მიუხედავად ამისა, მან იმედი გამოთქვა, რომ პროგრესი მშვიდობიანი მოწესრიგების მიღწევის საქმეში ჯერ კიდევ შესაძლებელია. კითხვაზე, თუ რამდენად შესაძლებელია ისრაელის ეგრეთ წოდებული „პრევენტიული დარტყმა“ მეზობელი არაბული ქვეყნების მიმართ, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა განაცხადა: ჩემი აზრით, ისრაელის ხელმძღვანელებმა იციან, რომ, თუ ომი დაიწყო, მან შეიძლება ბიძგი მისცეს ისეთ ამბებს, რომელთა მთელი შედეგების გათვალისწინება შეუძლებელია.

საკდესის მიმოხილვა

## რით არიან უკმაყოფილონი პეკინში

**პეკინში** კვლავ ვლინდება ცუდი ბუნება—განწყობილების ნიშნები. იქ არ მალავენ უკმაყოფილებას ევროპის კონტინენტზე დაძაბულობის შენელების პროგრესის გამო. მაოისტებს ხელს არ აძლევთ დისკუსიის წინსვლა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირზე. მათ არ მოსწონთ ოპტიმიზმი, რომელსაც ჟენევაში შეკრებილ დელეგაციათა უმრავლესობა გამოთქვამს თათბირის წარმატებით და მალე დამთავრების პერსპექტივების თაობაზე.

ჟენევის მოლაპარაკების გამო ვრცელ კომენტარში, რომლის ტექსტი სინჰუას სააგენტომ გაავრცელა, ნამდვილ ფაქტებს უპირისპირდება ვილაც-ვილაცეების აზრი, რომლებსაც თითქოს „საეჭვოდ მიაჩნიათ“ თათბირის წარმატების შესაძლებლობა, სამაგიეროდ კომენტარის მთელი ტონი უმცირეს ეჭვსაც კი არ ტოვებს, რომ ეს წარმატება ლახვარს ჩასცემს პეკინის ვარაუდებსა და იმედებს.

მაოისტები პირველად როდი ამხილებენ თავიანთ თავს როგორც ევროპის კონტინენტზე ვითარების ნორმალიზაციის მოწინააღმდეგენი. უცხოეთის პრესამ დიდი ხანია შენიშნა, რომ მათ სურთ სსრ კავშირისა და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნების დასავლეთით შექმნან მტრულ სახელმწიფოთა თავისებური „ფრონტი“.

პეკინის ხელმძღვანელები სწორედ ამ მიზნით უჭერენ დემონსტრაციულად მხარს დასავლეთის იმ ძალებს, რომლებიც რევანშიზმის პოზიციებიდან გამოდიან, უარს ამბობენ მეორე მსოფლიო ომის შედეგად დადგენილი საზღვრების ცნობაზე, მოითხოვენ ევროპის, და საერთოდ მთელი მსოფლიოს სამუდამო გათიშვას სახელმწიფოთა დაპირისპირებულ სამხედრო-პოლიტიკურ დაჯგუფებებად.

მაგრამ ამ ამოცანას ისინი თავს ვერ გაართმევენ ისევე, როგორც ვერ გაართვეს სახელგატეხილმა დასავლელმა პოლიტიკოსებმა, რომლებიც „ცივი ომის“ წლებში ცდილობდნენ განეხორციელებინათ ეგრეთ წოდებული „სოციალიზმის“ უკუგდების კურსი“.

მოსწონს თუ არა ეს პეკინს, ევროპა მაინც გახდება მტკიცე მშვიდობისა და სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების ქვეყნების თანამშრომლობის კონტინენტი.

## ხევში გადაიჩეხა

**33 აფრიკელი მუშა დაიღუპა და 26 სერიოზულად დაშავდა, როცა სატვირთო ავტომანქანა, რომლითაც ისინი მიდიოდნენ, ღრმა ხევში გადავარდა. კატასტროფა მოხდა სამხრეთ აფრიკის ქალაქ ხტერქსტრომის რაიონში.**

# ახალი პერსპექტივები

## ცეოლითები—ძვირფასი ნედლეული

[illegible]

...წარმოება შედარებით ძვირი ჯდება.

ცეოლითები მრავლად არის გავრცელებული ბუნებაში. როგორც გამოკვლევებმა ცხადყო, ... კლინოპტილოლითური ტუფების შემცველი პერსპექტიული ხაბადოები აჭარა-თრიალეთის ქედის, სოფელ ძეგვის, ზემოხვედურეთის, სვირი-ბოგის, თეძამისა ...

[illegible]

**„კომუნისტის" ინტერვიუ**

ლაბორატორიული და სხვა ცდები ცხადყოფენ ბუნებრივი კლინოპტილოლითის შესაძლებელ გამოყენებას ისეთ პროცესებში, როგორიც არის ბუნებრივი გაზების გაწმენდა და გაშრობა, ორგანული ბუნების ხითხევის გაუწყლოება. სასარგებლოა მისი გამოყენება მეცხოველეობასა და მეფრინველეობაში დეზოდორაციის მიზნით, ფრინველთა საკვებში ჩასამატებლად, ჩამდინარე წყლების გასაწმენდად. კლინოპტილოლითი კარგად შთანთქავს რადიაქტიულ იონებსა და აზოტოვან ნაერთებს წყალხსნარებიდან. მისი ქიმიური მოდიფიცირების გზით შეიძლება ახალი ეფექტური ადსორბენტებისა და კატალიზატორების მიღება.

ამიტომ ბუნებრივია, რომ კლინოპტილოლითის კვლევისა და გამოყენების საკითხებისადმი მიძღვნილი სიმპოზიუმი თბილისში გაიმართა. იგი მოეწყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ზოგადი და ტექნიკური ქიმიის განყოფილების ადსორბენტების სამეცნიერო საბჭოსა და დ. მენდელეევის სახელობის საკავშირო ქიმიური საზოგადოების საქართველოს განყოფილების ინიციატივით. მის მუშაობაში ქართველ მეცნიერებთან ერთად მონაწილეობდნენ მეცნიერები მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, მოძმე რესპუბლიკებიდან. სიმპოზიუმის მონაწილეებმა მოისმინეს საინტერესო მოხსენებები მიკროფორებიანი ადსორბენტების სტრუქტურის დახასიათების, მოპოვების, თვისებებისა და მნიშვნელოვან ტექნოლოგიურ პროცესებში გამოყენების შესახებ.

სიმპოზიუმის მონაწილეებს ვთხოვეთ გამოეთქვათ თავიანთი აზრი.

**მ. დუბინინი — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ზოგადი და ტექნიკური ქიმიის განყოფილების ადსორბენტების სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, აკადემიკოსი** — ქართველ მეცნიერთა წვლილი დიდია. მათ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოაჩინეს ბუნებრივი ცეოლითები — კლინოპტილოლითები და შეისწავლეს კიდეც მისი თვისებები. სიმპოზიუმზე წარმოდგენილმა მოხსენებებმა ნათლად წარმოაჩინა უნარი და ის ნაყოფიერი შრომა, რაც ქართველმა ქიმიკოსებმა გეოლოგებთან ერთად გასწიეს.

**ტ. პლაჩენოვი — ლენინგრადის ტექნოლოგიური ინსტიტუტის კათედრის გამგე, პროფესორი** — ქართველმა მეცნიერებმა უთუოდ დიდი ნაბიჯი გადადგეს. მათ არა მარტო აღმოაჩინეს, არამედ შედარებით მცირე დროში მიაღწიეს კიდეც დიდ წარმატებებს კლინოპტილოლითების კვლევის სფეროში, განსაზღვრეს კვლევის ძირითადი მიმართულებები. გამოიკვლიეს რა მისი ქიმიური შედგენილობა, ოპტიკური თვისებები, სიმკვრივე, თერმული სტაბილურობა, ადსორბციისა და იონთა მიმოცვლის უნარი, ქიმიური მოდიფიკაციისა და კატალიზური თვისებები — განსაზღვრეს დიდი პერსპექტივები მათი პრაქტიკულად გამოყენების თვალსაზრისით.

# ჩემპიონატის საბოლოო შედეგები

**42-ე საკავშირო**

[illegible]

...ისტერი ვასიუკოვი (მოსკოვი) და საერთაშორისო ოსტატი ცეშკოვსკი (ომსკი) — 7-7 ქულა, გროსმაისტერი სავონი (ხარკოვი) — 6,5 ქულა, გროსმაისტერი ტაიმანოვი (ლენინგრადი), ოსტატები გულკო, გრიგორიანი (ორივე —მოსკოვი) — 6-6 ქულა და ოსტატი კუპრეიჩიკი (მინსკი) — 3,5 ქულა. ეს მოჭადრაკეები სტოვებენ უმაღლეს ლიგას.

თუ ტალის გამარჯვება არავისთვის არ არის მოულოდნელი, ბელიავსკიმ მართლაც განაცვიფრა სპეციალისტები. საქმე ის არის, რომ ახალგაზრდა ... ვაკახიაზმა (იგი პირველად გამოდიოდა უმაღლეს ლიგაში), ახალგაზრდა დებიუტანტებმა ალბურტმა, დვორეცკიმ და საბჭოთა კავშირის თასის მფლობელმა რომანიშინმა. მეორე მხრივ, ტურნირმა დიდი მარცხი მოუტანა გროსმაისტერებს — საბჭოთა კავშირის შარშანდელი ჩემპიონატის პრიზიორ კუზმინს, საბჭოთა კავშირის ექსჩემპიონ სავონსა და განსაკუთრებით 48 წლის ტაიმანოვს, რომელმაც უკანასკნელისწინა ადგილები გაიყო.

გ. ბამრეკელი.

# შემოქმედებითი აღმავლობის გზით

## საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის შემოქმედებითი პლენუმის კონცერტებზე

ერთმა წელმა განვლო საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის V ყრილობიდან, დიდი შემოქმედებითი აქტივობით რომ ჩაიარა, და აი, ქართველი კომპოზიტორები დროის ამ მონაკვეთში გაწეული შემოქმედებითი მუშაობის ანგარიშით წარდგნენ ფართო საზოგადოების წინაშე. ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული ნაწარმოებებით მოვიდნენ ისინი თავიანთ მორიგ „სამუშაო პლენუმზე" და ცხადყვეს ყოველდღიური ჭეშმარიტი შემოქმედებითი საქმიანობის რიტმი. ორი სიმფონიური და სამი კამერული მუსიკის კონცერტის, საბავშვო მუსიკისა და საესტრადო სიმღერის კონცერტების პროგრამაში შეტანილი ბევრი დიდი თუ მცირე ფორმის ინსტრუმენტული თუ ვოკალური ოპუსი, და ბოლოს, მუსიკალურ-სცენური ჟანრის ორი ნაწარმოები (ნ. გაბუნიას მუსიკალური კომედია „ყვარყვარე თუთაბერი" და ს. ცინცაძის ბალეტი „ანტიკური ესკიზები"), ვფიქრობთ, არც თუ ისე ცოტაა სულ რაღაც ერთი წლის ინტერვალისათვის. მაგრამ საქმე რაოდენობრიობა როდია. ქართველ კომპოზიტორთა შემოქმედებითი ნაღვაწის ჩვენებისადმი მიძღვნილი ეს მორიგი ღონისძიება, უპირველეს ყოვლისა, სწორედ შემოქმედებით ინტერესთა მიმართულების და დაძაბული ყოველდღიური შრომის შედეგების თვალსაზრისით არის ყურადსაღები, მით უფრო, თუ ანგარიშს გავუწევთ იმას, რომ 60-70-იანი წლების ქართული მუსიკა ინტენსიური შემოქმედებითი ძიებების გზით ვითარდება და აღნიშნული პროცესი არც თუ უმტკივნეულოდ მიმდინარეობს.

კონცერტზე შესრულებული თემატიკის, ჟანრობრივი და სტილისტიკის თვალსაზრისით ერთმანეთისაგან ესოდენ განსხვავებული ნაწარმოებები: ლ. იაშვილის კანტატა „სამშობლოს სადღეგრძელო", ტ. ბაქრაძის სიმფონიური სურათი „სვანეთის მთებში", ნ. გუდიაშვილის ორი გუნდი („გუთნის დედა" და „ბეთლემი"), მ. ხატელიშვილის „ახალგაზრდული სიმღერა", ნ. გიგაურის სიმფონიური პოემა „გზა ვარსკვლავებისაკენ", ვ. აზარაშვილის კონცერტი ალტისა და ორკესტრისათვის და ო. თევდორაძის „რაფსოდია მეგრულ თემებზე", რომლებიც მათი ავტორების შემოქმედებითი აზრის და ხელწერის მანერის განსხვავებულობას მოწმობს.

პლენუმზე, უპირველეს ყოვლისა, ყურადღება მიიპყრო ვ. აზარაშვილის კონცერტმა ალტისა და ორკესტრისათვის. ფსიქოლოგიური სიღრმით აღბეჭდილი, მუსიკალურ-დრამატურგიული კონცეფციის მნიშვნელოვნებით და შთანაფიქრის ხორცშესხმის ფორმის მწყობრად ჩამოკვეთის მხრივ უდავოდ საინტერესო ეს ოპუსი იმის მაგალითად შეიძლება გამოგვადგეს, რომ გამოსახვის თანამედროვე ხერხებისათვის მიმართვა, თანამედროვე მუსიკალური აზროვნების ელემენტთა აქტიურად შემოტანა ნაწარმოების საკუთრივ სახოვანი არსიდან და დრამატურგიული ლოგიკიდან უნდა გამომდინარეობდეს.

დაკვირვებისათვის საგულისხმო მასალას გვაძლევს ნ. გიგაურის სიმფონიური პოემა „გზა ვარსკვლავებისაკენ", რომელიც თანამედროვეობის აქტუალურ პრობლემას — ადამიანის მიერ კოსმოსის ათვისების თემას მიეძღვნა. ნ. გიგაურის სიმფონიური პოემა აღნიშნული თემის დიდი ფორმის სიმფონიურ ნაწარმოებში ხორცშესხმის პირველი ცდაა და უდავოდ მისასალმებელია, მით უფრო, რომ ავტორისეული ოპუსის დრამატურგიულ განვითარების ზოგიერთი ეტაპი კომპოზიტორს დამაჯერებლად აქვს ხორცშესხმული.

საყურადღებო აღმოჩნდა პროგრამის კიდევ ერთი ნაწარმოები: ტ. ბაქრაძის სიმფონიური სურათი „სვანეთის მთებში", მიძღვნილი ქართველი ალპინისტებისადმი. სიმფონიური განვითარების შემცველი ეს ინსტრუმენტული ოპუსი სიმეტრიული სტრუქტურის სახით არის მოცემული. ნაწარმოების განვითარების ლოგიკა ემყარება ინტონაციურად კონტრასტული ორი თემატური პლასტის დაპირისპირებას. სიმფონიური სურათის კულმინაცია ემთხვევა გმირული ტონუსის დინამიკურ ტალღას, ხოლო დასასრული — სვანეთის ბუმბერაზ მწვერვალთა მონუმენტურობის შეგრძნებას ქმნის, ბუნების მარადიულობისა და მასთან ადამიანის თანაზიარობის გრძნობას განგვაცდევინებს. ტ. ბაქრაძის სიმფონიური სურათი ბევრად მოიგებდა, დრამატურგიული განვითარების პროცესის „ქმედითობის" შენელება რომ არ იგრძნობოდეს კულმინაციისაკენ სვლის ეტაპზე.

სასიამოვნო მოულოდნელობად აღვიქვით კომპოზიტორ ნ. გუდიაშვილის ორი გუნდის: „გუთნის დედა" და „ბეთლემის" (ორივე მათგანი „აკაპელის" მანერით არის ხორცშესხმული) აჟღერება, მით უფრო, რომ ეს უკანასკნელი კომპოზიტორის შემოქმედებაში სტილისტურად „ახლებური" ელემენტის შეჭრაზე მეტყველებს. შინაგანი დრამატიზმით აღბეჭდილი ეს ორი საგუნდო მინიატურა (ტექსტი ხალხურია) ქართული ხალხური სიმღერის არქაულ პლასტებთან, უფრო სწორად, საგალობლის რიტმულ-ინტონაციურ და კილოებრივ წყობასთან ახლოს არის.

სრულიად განსხვავებული პლანის ნაწარმოებად წარმოგვიდგა კომპოზიტორ მ. ხატელიშვილის „ახალგაზრდული სიმღერა" (ტექსტი მ. ფოცხიშვილისა), სიცოცხლის სისხლსავსეობის გრძნობით ანთებული, აქტივობის სულისკვეთებით გაჯერებული, დაწერილი ვოკალური ოქტეტისათვის. ხალხურ-სასიმღერო ინტონაციისა და საესტრადო სიმღერებისათვის ტიპობრივი მელოდიური საქცევების შემცველი, რიტმულად აქტიური, განწყობილების ზეაწეულ ტონუსში ინტონირებული, ივი საგუნდო „ორკესტრობის" უდაო უნარის მქონე ავტორს წარმოაჩენს, დინამიკური აღმავლობის ერთიან ხაზს რომ დამაჯერებლად ჰკვეთს ნაწარმოებში.

მკაფიო სახოვნების თვალსაზრისით ყურადღება მიიქცია სიმღერის ჟანრში მრავალნაცადი ავტორის, კომპოზიტორ ლილი იაშვილის კანტატამ — „სამშობლოს სადღეგრძელომ" (ტექსტი თ. კაკუშაძისა), ფართო სუნთქვის პრინციპზე დაფუძნებულმა, ლირიკული ემოციის წიაღიდან ამოხეთქილმა და ჰიმნურ ჟღერადობაში გადაზრდილმა დინამიკურმა მთელმა, კუპლეტური ფორმის დინამიზების გზით რომ არის წარმოდგარი და თანამედროვე ლირიკული სიმღერის ინტონაციის სწორედ ინდივიდუალურ ასპექტში გარდატეხას რომ გულისხმობს.

კონცერტის დასასრულს აჟღერებული კომპოზიტორ ო. თევდორაძის „რაფსოდია მეგრულ თემებზე", ერთნაწილიანი მთელის სახით მოცემულ ვრცლად გაშლილ სიმფონიურ თხზულებად წარმოჩნდა. ამ უკანასკნელის დრამატურგიული განვითარება არსებითად სუიტური განვითარების პრინციპს ემყარება, თუმცა ეს უკანასკნელი ხელს არ უშლის კომპოზიციის შინაგანი რიტმულობის შეგრძნებას. იგი სწრაფვითი ტემპით მიმდინარეობს და „მოქმედების" სულისკვეთებით აღძრული, ხუთი კონტრასტული დინამიკური პლასტის მონაცვლეობის ხერხს წამოსწევს წინ. თუმცა ფორმის მხრივ საკმაოდ თავისუფლად გააზრებული ბგერითი კონსტრუქციის ნიმუშს გვაძლევს, მას არ აკლია შინაგანი დინამიკა.

პლენუმის პირველი კონცერტის შესახებ მსჯელობისას დასასრულს რამდენიმე სიტყვა უნდა ვთქვათ იმ საშემსრულებლო კოლექტივებსა და ინდივიდუალურ შემსრულებლებზე, რომელთაც ღვაწლი დასდეს ქართველ კომპოზიტორთა აქ წარმოდგენილი ერთი ჯგუფის ახალ ნაწარმოებთა მხატვრული შთანაფიქრის მსმენელამდე მოტანას. აქ, პირველ ყოვლისა, საქართველოს რადიოს და ტელევიზიის სიმფონიური ორკესტრისა და პირადად მისი დირიჟორის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ლ. კილაძის მიერ გაწეულ უაღრესად შრომატევად მუშაობას უნდა გაესვას ხაზი. ქართველ კომპოზიტორთა ახალი ნაწარმოებების დაუცხრომელი პროპაგანდისტი, დირიჟორი ლ. კილაძე ამჯერადაც ჩვეული მონდომებითა და განწყობით მოეკიდა აღნიშნულ ნაწარმოებთა ავკარგის წარმოჩენას. აღსანიშნავია საქართველოს სახელმწიფო კაპელის (ხელმძღვანელი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. ბაქრაძე) და საქართველოს რადიოს და ტელევიზიის ვაჟთა ვოკალური ოქტეტის (ხელმძღვანელი საქართველოს დამსახურებული არტისტი მ. ხატელიშვილი) მიერ გაწეული მუშაობა და, ბოლოს, სოლისტების ალტისტის თ. ხარაძის და მომღერლების ა. გოგორიშვილის და თ. ხიხაძის წარმატებით გამოსვლა.

**მზია იაშვილი,**
მუსიკისმცოდნე.



# საერთაშორისო დიპლომი — ქართველ მხატვარს

ანდერსენის სახელობის საერთაშორისო დიპლომი საბავშვო წიგნის ილუსტრაციებისათვის მიენიჭა საქართველოს სსრ დამსახურებულ მხატვარს ლევან ცუცქირიძეს.

საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული კავშირის საბჭოთა საზოგადოებათა კავშირის საბავშვო ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა ასოციაციის პრეზიდენტმა პოეტმა აგნია ბარტომ გულთბილად მიულოცა თბილისელ მხატვარს ღირსეული ჯილდო.

ლევან ცუცქირიძის ნათელი, შთამბეჭდავი ილუსტრაციები ნორჩ მკითხველებს იზიდავს თავისი გამომსახველობით.

სურათებზე: საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი ლ. ცუცქირიძე; ლ. ცუცქირიძის ილუსტრაციები.

გ. კიკვაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



# საუკუნეთა კვალდაკვალ

## მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი უსმენს ქართველ არქეოლოგს

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს მ. კელდიშის თავმჯდომარეობით მოისმინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის პროფესორ ოთარ ლორთქიფანიძის მოხსენება „ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები საქართველოში".

მოხსენებაში წარმოდგენილი იყო საქართველოში არქეოლოგიური კვლევა-ძიების უმთავრესი შედეგები ძველი ქვის ხანიდან მოყოლებული, გვიან საშუალო საუკუნეებამდე; ფერადი დიაპოზიტივებით იყო ილუსტრირებული ქვემო ქართლის, კახეთის, დიდი თბილისის, ჟინვალის, ნასტაკისის, კავთისხევის, კოლხეთისა და ვანის არქეოლოგიური ექსპედიციების თვალსაჩინო მონაპოვრები.

მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა და არქეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა აკადემიკოსმა ბ. რიბაკოვმა აღნიშნა საქართველოში ამ ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების უდიდესი მეცნიერული მნიშვნელობა არა მარტო საქართველოსა და კავკასიის, არამედ მთელი ძველი აღმოსავლეთისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის უძველესი კულტურების შესწავლის საქმეში, ახალი ქართული არქეოლოგიური მასალების საერთაშორისო მეცნიერულ მიმოქცევაში შეტანის აუცილებლობა.

პრეზიდიუმის სხდომას ესწრებოდა და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ე. ხარაძემ.

პროფესორ ო. ლორთქიფანიძის მოხსენება რეკომენდებულია დასაბეჭდად სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის უმაღლეს პერიოდულ ორგანოში „ვესტნიკ აკადემიი ნაუკ".

**სამამულო ომის გმირთა უკვდავსაყოფად**

# შენდება შინმოუსვლელთა სახელობის ზვრები

თელავის რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მევენახეებმა ერთსულოვნად გამოეხმაურნენ ყვარლის რაიონის მშრომელთა თაოსნობას დიდ სამამულო ომში დაღუპულთა სახელობის ზვრების გაშენების შესახებ.

სანიორის კოლმეურნეობა „მეგობრობის" მევენახეებმა რაიონში პირველებმა დაამთავრეს ახალი ვენახების გაშენება. მათ 75 ჰექტარზე მაღალხარისხოვნად გააშენეს ახალი ვენახი, წლიური გეგმა კი 72 ჰექტარს ითვალისწინებდა. მევენახეებმა შინმოუსვლელთა პატივსაცემად ახალგაშენებულ ნაკვეთებს იმათი სახელები დაარქვეს, რომელი გვარიდანაც ყველაზე მეტი ვაჟკაცი შეეწირა სამშობლოს.

კონდოლის კოლმეურნეობამ გეგმით გათვალისწინებულ 35 ჰექტარი ახალი ვენახი გააშენა. ამ კოლმეურნეობის ახალგაზრდებმა გადაწყვიტეს ძველ, გამოცდილ მევენახეებთან ერთად გულმოდგინედ მოუარონ ახალნარგაობას და ასი პროცენტით გაახარონ ვაზი. კომკავშირელები მოსავლელად გაიპიროვნებენ ნაკვეთებს და იმ კომკავშირელთა სახელებს დაარქმევენ, ვინც დიდი სამამულო ომის ფრონტზე გმირულად დაეცა.

წარმატებით მიმდინარეობს შინმოუსვლელთა სახელობის ვენახების გაშენება ნაფარეულის, წინანდლის და კისისხევის საბჭოთა მეურნეობებშიც. ნაფარეულელები დიდ სამამულო ომში დაღუპული ვაჟკაცების სახელის უკვდავსაყოფად 130 ჰექტარ ახალ ვენახს აშენებენ. აქედან 20 ჰექტარი გეგმის გადამეტებით გაშენდება.

რაიონში წლეულს სულ 675 ჰექტარი შინმოუსვლელთა სახელობის ზვრები გაშენდება. აქედან 450 ჰექტარზე მეტი უკვე გაშენებულია.

**ა. თვალიაშვილი,**
„კომუნისტის" საკ. კორ.

# იღებენ ახალ ფილმს

**სოხუმი.** „შავი ზღვის პირას" ასე ეწოდება სატელევიზიო ფერად მხატვრულ ფილმს, რომელსაც მოსკოველი კინემატოგრაფისტები იღებენ. მასში მოთხრობილია გლებ ჩეკარინის თავგადასავალი. ფილმის ავტორთა მიზანია დახატონ როგორ იბადება სიმთის „ჯაჭვური რეაქცია", როგორ ზემოქმედებას ახდენს ერთ ადამიანის სულში გაბრწყინებული მზის შუქი სხვათა საქმეებზე და საქციელზე...

ფილმი ასახავს აფხაზეთის ცხოვრებას. სცენარის ავტორია ცნობილი საბჭოთა მწერალი გეორგი გულია, ფილმის რეჟისორები არიან ალექსანდრე კუზნეცოვი და ოსკარ ნიკიჩი. მთავარ როლებს ასრულებენ უკრაინის სსრ სახალხო არტისტი ნ. გრინკო, მსახიობები გ. ტელეჩკინა, ლ. ახეჯაკოვა, მ. პოლბენცევა და სხვები.

ფილმში მონაწილეობენ აგრეთვე სოხუმის ს. ჭანბას სახელობის დრამატული თეატრის მსახიობები შ. ფაჩალია, ა. არღუნ-კონოშოკი, ა. ერმოლოვი, რ. აგრბა და სხვები.

ერთ-ერთ სახეს ფილმში ქმნის რუსთავის დრამატული თეატრის მსახიობი გ. ბერიკაშვილი.

სურათს იღებენ გუდაუთში, ზღვის სანაპიროზე.

**ი. გოგეჩია,**
„კომუნისტის" საკ. კორ.

# ალმანახების ახალი ნომრების ფურცლებზე

## „კრიტიკა" № 8

ალმანახმა „კრიტიკამ, რომელიც სამ თვეში ერთხელ გამოდის, უკვე შემოიკრიბა მკითხველთა ფართო წრე.

ამ დღეებში გამოვიდა ალმანახის ახალი, მერვე ნომერი, რომლის ფურცლებზეც მკითხველი შეხვდება ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების ამსახველ ბევრ საყურადღებო მასალას. მრავალფეროვანია ამ ნომრის რუბრიკები — ლიტერატურა და ცხოვრება; დიალოგი ჩვენს რედაქციაში; თეორიის პრობლემები; ფიქრები კრიტიკაზე; რომანი და ეკრანი; ჩვენი ინტერვიუ; გასაუბრება მკითხველთან; მწერლის უბის წიგნაკიდან; ბიბლიოგრაფია; მიმოხილვა; რეცენზიები; იუმორი.

## „საუნჯე" № 3

მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური ალმანახის „საუნჯის" მე-3 ნომერში, რომელიც ამ დღეებში გამოვიდა, პროზა წარმოდგენილია ისეთი, ცნობილი მწერლების ნაწარმოებებით, როგორიც არიან მ. კოციუბინსკი, უ. ფოლკნერი, ი. ივაშკევიჩი, ი. დრდა, ა. მორუა, ნ. გორდიმერი, ვ. კატაევი, უ. მაკ-გივერნი. პოეზიის განყოფილებაში მკითხველი გაეცნობა ვ. მაიაკოვსკის პოემას, თ. ბერგოლცის, შ. წვიგბას, რ. თაგორის ლექსებს. დ. გულიას დაბადების 100 წლისთავს ეძღვნება გ. ჯიბლაძის წერილი „სიტყვა დიმიტრი გულიას". რუბრიკით „ლიტერატურული მემკვიდრეობა, კრიტიკა, პუბლიცისტიკა" დაბეჭდილია ნ. კაკაბაძის, ა. გელოვანის და დ. ინწკირველის წერილები.

**კალათბურთი**

# ლიდერი ამარცხებს მასპინძლებს

**უმაღლესი** ლიგის ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის ლიდერმა ლენინგრადის „სპარტაკმა" ორი მატჩი გამართა ვილნიუსში ადგილობრივ „სტატიბასთან".

სპარტაკელებმა პირველი შეხვედრა მოიგეს ანგარიშით 78:55, ხოლო მეორე — 84:71.

თბილისის „დინამო", მორიგ მატჩებს გამართავს 26 და 27 დეკემბერს ტარტუში ადგილობრივ „კალევთან".

# უკანასკნელი სტარტების წინ

მთავრდება თბილისის სპარტაკიადა. სპორტის 28 სახეობიდან 26 უკვე დამთავრდა ასპარეზობა. დარჩა კრივი და ტანვარჯიში. ამ სახეობებში შეჯიბრება მომავალ წელს გაიმართება.

საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე გამოვიდნენ „განთიადის" (782,5 ქულა), მეორეზე — „დინამოს" (744,5 ქულა), მესამეზე — „ბურევესტნიკის" (629,5 ქულა), მეოთხეზე — „სპარტაკის" (424,5 ქულა), მეხუთეზე — თბილისის არმიის სპორტული კლუბის (350,5 ქულა), მეექვსეზე — „ლოკომოტივის" (214,5 ქულა) და მეშვიდეზე — „შრომითი რეზერვების" (185 ქულა) კოლექტივები.

რაიონების მიხედვით სპორტის 26 სახეობაში პირველ ადგილზე გამოვიდნენ ორჯონიკიძის რაიონის სპორტსმენები — 815 ქულა, მეორე ადგილი დაიკავეს ლენინის რაიონის წარმომადგენლებმა — 540 ქულა, მესამე ადგილზე გამოვიდნენ — 26 კომისრის სახელობის რაიონის — 404 ქულა, მეოთხეზე — პირველი მაისის რაიონის — 329 ქულა — სპორტსმენები.

უნდა ითქვას, რომ სპორტის ბევრ სახეობაში დაბალი შედეგები აჩვენეს. მაგალითად, ისეთ სახეობებში, როგორიც არის მძლეოსნობა, ველოსპორტი, ცურვა, არ შესრულებულა არც ერთი სპორტის ოსტატის ნორმა. თუმცა ეს მოთხოვნა შესრულდა სროლაში, ძალოსნობასა და სასტენდო სროლაში, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. (საქინფორმი).

# მგელს ცხვრის ფარა ჩააბარეს...

**ქარელი.** (საქინფორმის კორ.). რუისის საბჭოთა მეურნეობის ერთ-ერთი ბაღის ყარაულმა ქ. გელდიაშვილმა, რომელსაც სახელმწიფო საკუთრების დაცვა ანდეს, თვითონვე მიჰყო ხელი ხალხის დოვლათის დატაცებას. მაგრამ მას აღარ დასცალდა ნაქურდალის „რეალიზაცია". შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების მუშაკებმა დამტაცებელს ჩამოართვეს და კანონიერ პატრონს — საბჭოთა მეურნეობას დაუბრუნეს 1.320 კილოგრამი ვაშლი.

ასევე ქურდობაზე წაასწრეს სოფელ დვანის მცხოვრებს ფ. კოპაძეს, რომელმაც ა. მამაგულაშვილთან ერთად საკუთარი „ზაპოროჟეცი" დატვირთა 250 კილოგრამი მოპარული ვაშლით.

ქურდები მალე წარსდგებიან მართლმსაჯულების წინაშე.

# რამდენიმე სტრიქონით

● **კანბერა.** დიდი წარმატებით დაამთავრეს საბჭოთა ტანმოვარჯიშეებმა გამოსვლები „მწვანე კონტინენტზე". „საბჭოთა სპორტსმენები ძალიან მოეწონათ ავსტრალიელებს. ყველგან, სადაც კი ისინი გამოდიოდნენ, მქუხარე ტაშით აჯილდოებდნენ. გამოსვლებს ესწრებოდნენ არა მარტო ათასობით სპორტის მოყვარული, არამედ მინისტრები, პარლამენტის წევრები, პროფკავშირული და საზოგადოებრივი მოღვაწენი" — განუცხადა საკდესის კორესპონდენტს ავსტრალიელმა იმპრესარიომ მაიკლ ეჯლიმ. შაბათს გუნდი ახალ ზელანდიაში გაფრინდა.

● **კანადაში** პირველი ასპარეზობა მარცხიანი გამოდგა საბჭოთა იუნიორების გუნდისათვის — მონრეალში მათ წააგეს ადგილობრივ თანატოლთა ნაკრებთან, რომელიც გაძლიერებული იყო კვებეკის პროვინციის კლუბების საუკეთესო მოთამაშეებით — 4:6. ახლა საბჭოთა სპორტსმენები მონაწილეობას მიიღებენ მეორე არაოფიციალურ მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც ვინიპეგში გაიმართება 26 დეკემბრიდან 5 იანვრამდე.

● **ბაქოსა** და ლენინგრადში დამთავრდა ხელბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრე ქვეჯგუფებში. ბაქოში დაწინაურდა ადგილობრივი სპორტული საქონლის ფაბრიკის გუნდი — 6 ქულა რვიდან.

● **კეჩკემეტი** (უნგრეთი). ევროპის რეკორდი 800 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში დაამყარა უნგრელმა სპორტსმენმა ანდრაშ ხარგიტაიმ — 8 წუთი და 31,30 წამი.

● **ჰელსინკი.** ევროპის თასი კლასიკურ ჭიდაობაში მოიპოვეს ბულგარელმა ფალავნებმა — „სპარტაკ-ლევსკის" გუნდმა. მეორე ადგილზე გავიდნენ კიევის დინამოელები, მესამეზე — ფინეთის გუნდის „ლაპუან ვირიკაის" სპორტსმენები.

● **სიდნეიში** დამთავრდა ახალი სამხრეთ უელსის შტატის ღია პირველობა ჩოგბურთში. ვაჟთა ერთეულების ფინალში ავსტრალიელი ფილ დენტი, რომელმაც ნახევარფინალში მოუგო ალექსანდრე მეტრეველს, დამარცხდა თანაგუნდელ ტონი როჩთან. ქალთა შორის პირველობა დაისაკუთრა ავსტრალიელმა ივონ გულაგონგმა, რომელმაც ნახევარფინალში ოლღა მოროზოვას დამარცხების შემდეგ, გადამწყვეტ მატჩში მოუგო თანაგუნდელ მარგარეტ კორტს, ვაჟთა წყვილებში გაიმარჯვეს ბოლმა და კარმაიკლმა (ორივე — ავსტრალია), ხოლო ქალებში — გულაგონგმა და მიტჩელმა (აშშ), რომლებმაც დაამარცხეს მოროზოვა და ნავრატილოვა (ჩეხოსლოვაკია) — 3:6, 6:4, 6:1.

სპორტი

# ტელევიზია

## 25 დეკემბერი

**პირველი პროგრამით**

10.05 — ფერადი ტელევიზია — დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — ფერადი ტელევიზია — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — სატელევიზიო სპექტაკლი — „სიჭაბუკე", 12.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — მხატვრული ფილმი „გროსმაისტერი", 16.05 — ბავშვებისათვის — „მხიარული ეკრანი", 17.05 — სკოლების დასახმარებლად — ინგლისური ენა, 17.35 — კინონარკვევი, 17.45 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ქიმიაში. 18.20 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის — „უკეთ რომ აღვზარდოთ"!, 18.50 — „ფრთხილად საშიშია!", 19.10 — „მხედრული დიდება" — სატელევიზიო ჟურნალი, 19.50 — „შეხვედრი გეგმა-მოქმედებაში. — ჭიათურელი მშრომელები ახალი წლის ზღურბლზე, 20.15 — ლეიფციგის XVII საერთაშორისო ფესტივალზე პრემირებული დოკუმენტური და მოკლემეტრაჟიანი ფილმები (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — კონცერტი, 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — სატელევიზიო ჟურნალი ქალებისათვის „ივანნა". დასასრულ — „ახალი ამბები".

**ნახეთ, ნუ მოისმინეთ**

**მეორე პროგრამით**

18.05 — სკოლების დასახმარებლად — საქართველოს ისტორია, 18.50 — კინონარკვევი, 19.00 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია მექანიზმებისა და მანქანების თეორიაში, 19.45 — „კინოაფიშა", 20.15 — განცხადებები, 20.20 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. მხატვრული ფილმი „სათავეები". (1 სერია).

# რადიო

## 26 დეკემბერი

**პირველი პროგრამით**

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45—ა. ალიაბიევი. ნაწყვეტები ოპერიდან „მთვარიანი ღამე", 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.05 — ქართული ხალხური მუსიკა, 11.45— „პარტიული ცხოვრება", საუბარი „პლენუმის გადაწყვეტილებანი — მოქმედებაში", 12.15 — მ. იაშვილის კონცერტი, 12.25 — „სცენის ოსტატები", 12.35 — მღერის ი. გულიაევი, 12.45 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 12.50 — ა. ჩიმაკაძე. პროლოგი მუსიკალური ლიტერატურული კომპოზიციისათვის „ვეფხისტყაოსანი", 13.15 — ამინდის ბიუროს ცნობა, 13.30 — გაზეთ „პრავდის" მოწინავე სტატია, 14.00 — რიგის ოპერის სოლისტთა კონცერტი (ლატვიის რადიოს გადაცემა), 17.15 — ი. ტუსკია. ნაწყვეტები ოპერიდან „სამშობლო", 17.35 — მოსწავლეთათვის. „შემთხვევა ტყეში", 18.05 — ქართული მსუბუქი მუსიკა, 18.45 — სიმღერები ო. ვორონეცის შესრულებით, 19.00 — მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი. საუბარი „სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის საერთო კანონზომიერებანი და კონკრეტული ისტორიული თავისებურებანი", 19.20 — მღერის საქართველოს მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოების კამერული გუნდი", 20.30 — „შემოქმედებითი პორტრეტები" — ლ. ავალიანი, 21.00 — „ძილისპირული", 21.10 — კალათბურთი სსრ კავშირის პირველობაზე: „კალევი" (ტარტუ) — „დინამო" (თბილისი) რეპორტაჟი ტალინიდან. 21.40 — ი. ჰაიდნი. „ლონდონის სიმფონია" დო მაჟორი და პირველი სავიოლინო კონცერტი, 23.30 — ქართული ხალხური მუსიკის კონცერტი, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

# თეატრები

## 26 დეკემბერი

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ᲡᲐᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲝ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐ; რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი — ᲡᲘᲢᲣᲐᲪᲘᲐ; კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ᲗᲕᲐᲚᲘ ᲞᲐᲢᲘᲝᲡᲐᲜᲘ; ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ᲐᲠᲨᲘᲜ-ᲛᲐᲚ-ᲐᲚᲐᲜᲘ.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი

380008 თბილისი-8, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, ხამდივნოს — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 04889 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14